იმოგზაურე

ტაო-კლარჯეთში

ტექსტის ავტორი და შემდგენელი: გიორგი კალანდია
ფოტოები: გოგა ჩანადირი
კონცეფცია: გოგა ფიროსმანაშვილი
რედაქტორი: ირინა გივიაშვილი
რუკა: "გუდ თრეველი"

მკითხველისადმი

ტაო-კლარჯეთში მოგზაურობაზე ფიქრობთ? თუ გამოცემამ დაგაინტერესათ? ორივე შემთხვევაში სწორი არჩევანი გაგიკეთებიათ, რადგან თქვენს ხელთაა არაჩვეულებრივი გზამკვლევი დაუვიწყარი მოგზაურობისათვის.

ტაო-კლარჯეთი, ტერმინი ისტორიული ქართული სამეფოების ტაოსა და კლარჯეთის სახელების გაერთიანებით მეოცე საუკუნის მეცნიერებმა დაამკვიდრეს. ამ ტერმინის ქვეშ მოიაზრება ის მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობა, რომელიც სამხრეთ-დასავლეთი ქართული პროვინციებიდან მომდინარეობს. ესაა ისტორიული ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, კოლა-ოლთისი, არტაანი, მაქახელი თუ ლაზეთი. დღეს ეს მხარეები თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთს წარმოადგენს და შედის ართვინის, არდაჰანის, ერზერუმის, ყარსისა და ტრაპიზონის ვილაეთებში.

ეკლესიებისა და ციხე-კოშკების ნაწილი დღეს ტურისტთა თუ პილიგრიმთა მარშრუტებშია შეტანილი, დიდი ბანერები გზებზე გაცნობებთ, რომ ახლოსაა ოშკი და იშხანი, ბევრგან კი სპეციალური მომზადების გარეშე გზის პოვნაც გაგიქირდებათ.

ქართველთა მიერ შექმნილი რამდენი ნივთიერი ძეგლია დღეს თურქეთის ტერიტორიაზე? ზუსტი აღრიცხვა არ არსებობს; მაგრამ არსებობს შუა საუკუნეების ლიტერატურა, რომელიც მოგვითხრობს ამ ცენტრების უაღრესად მნიშვნელოვან კულტურულ თუ საგან-მანათლებლო მნიშვნელობაზე, მათ სტრატეგიულად გადამწყვეტ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მნიშვნელობაზე, ქართველი ერის ფიზიკური თუ სულიერი არსებობის გზასა თუ გზაგასაყარზე.

"ქართლის ცხოვრების" თანახმად სწორედ ამ მხარეში დაარსებულა ერთ-ერთი უპირველესი ქართული ქალაქი თუხარისი კლარჯეთში, სადაც მოგვიანებით კლარჯეთის პირველი ეკლესია აშენებულა. პირველი ქართული ეკლესია კი იდგა არტაანში, აგებული კონსტანინე დიდის დროს, სადაც ინახებოდა "სამსჭვალნი უფლისანი". პირველი საეპისკოპოსო კათედრაც დაარსდა ამ მხარეში, ახიზასა და მერეში. პირველი სამონასტრო გაერთიანებაც აქ დაფუძნებულა, ოპიზაში.

საქართველოს სამხრეთი პროვინციები ქართული სახელ-მწიფოებრიობის თავშესაფარი აღმოჩნდა მერვე საუკუნიდან მოყოლებული. აშოტ კურაპალატისა და გრიგოლ ხანცთელის მიერ დათესილი საქმის ნაყოფი საუკუნეები მოჰყვებოდა ქვეყანას. აქ გაიშალა ყველაზე ვრცელი სამონასტრო კოლონიზაცია, განივრცო და განმტკიცდა ცოდნა და რწმენა, ლიტერატურა, ხელოვნება, მეცნიერება.

ახალი ქართველთა სამეფოს შემქმნელი ბაგრატიონების სამეფო დინასტია, ქვეყანას კი თითქმის ათასი წელი მართავდა... ტაო-კლარჯეთის ფარგლებში ჩაისახა და გაცხადდა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის იდეა, დავით III კურაპალატის წამოწყება, რომელიც დავით IV აღმაშენებელმა აღასრულა...

წინამდებარე გზამკვლევში საქართველოს ისტორია წარმოდგენილია ცალკეულ საეკლესიო ან საერო ცენტრებთან კონტექსტში. ტექსტი შეიცავს არქიტექტურულ ძეგლთა აღწერილობას, ქვეყნდება ყველაზე მნიშვნელოვანი წარწერები, ასევე გასული საუკუნის მოგზაურთა და მეცნიერთა ცნობები.

წარმატებულ მოგზაურობას გისურვებთ ტაო-კლარჯეთის დროსა და სივრცეში, თქვენს ხელთ ბრწყინვალე გამოცემაა, იშვიათი ფოტოებითა და დაყურსული ისტორიული მოთხრობებით.

ირინა გივიაშვილი
ხელოვნებათმცოდნე

გუმბათი



სამხრეთი ფასადი

ოშკი – „ქართული არქიტექტურის ვეფხისტყაოსანი“ და საეკლესიო ხუროთმოძღვრების მარგალიტია. იგი ძველი საქართველოს ის უმნიშვნელოვანესი ქართული სამონასტრო ცენტრია, რომელიც ისტორიულ ტაოში, თორთუმის წყლის მარცხენა მაღალ ნაპირზე, სოფელ ჩამლიამაჩში (Çamliyamaç) მდებარეობს, (ამჟამინდელ თურქეთის პროვინცია ერზერუმში). ოშკი (öşvank) ოთხ დიდ ქართულ კათედრალთაგან (სვეტიცხოველი, ბაგრატის ტაძარი, ალავერდი) პირველია. ტაძარი ერთიანდება სამონასტრო კომპლექსში, დღეს შემორჩენილია სემინარია-სატრაპეზოთი და მცირე ეკლესიები. ოშკი არა მხოლოდ მოზრდილი მონასტერი იყო, არამედ, ბანასთან ერთად, ტაო-კლარჯეთის ხელისუფალთა ადმინისტრაციული ცენტრიც. თუმცა საერო ნაგებობათაგან დღეს არაფერი შემოგვრჩა.

ტაძრის არქიტექტურა იმეორებს მისი წინამორბედების სახასიათო მოტივებს და უფრო გამდიდრებული და გართულებული სახით წარმოგვიდგენს მას. მაგალითისათვის ხანცთისა და დოლისანის სამონასტრო ეკლესიები ოშკს ორჯერ და მეტად ჩამოუვარდება. ოშკის ტაძარი აგებულია საგანგებოდ ამოყვანილ ბაქანზე, რომელშიც სამარხებია მოწყობილი. ტაძარი უხვად იყო შემკული რელიეფებითა და ჩუქურთმებით. მოხატულობიდან მცირედია შემონახული.

ოშკის ისტორიას ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე მას იხსენიებს თამარის მიერ მტრისაგან განთავისუფლებულ პუნქტთა შორის. XVI საუკუნეში “მონასტერი ოშკი მისითა შემოსავლითა“ კათოლიკოსის სამწყსო იყო. ტაო-კლარჯეთში ექვთიმე თაყაიშვილის სამი უმნიშვნელოვანესი ექსპედიციის შედეგად მთლიანად აღიწერა და აიზომა ოშკის ეკლესია.

სიტყვა „ოშკი“ არის უძველესი ზანურ-ქანური ტოპონიმი, რომელიც მეგრულ „შქას“, „შუას“, შუა ადგილს უკავშირდება. ტაძრის სამხრეთ კედლის წარწერიდან ჩანს, რომ ეკლესიის მაშენებლები ყოფილან ტაოს ბაგრატიონები, ადარნასე III კურაპალატის შვილები - ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი (გ.966) და დავით მაგისტროსი (იგივე დავით III დიდი კურაპალატი). წარწერის ნაწილი, სადაც თარიღია სავარაუდებელი, განადგურებულია. ტაძარი ადარნასეს სიცოცხლეშივე დამთავრებულა, მან კურაპალატობა 978 წელს მიიღო და 1001 წელს გარდაიცვალა, მშენებლობის დასასრული სწორედ 978-1001 წლებშია სავარაუდებელი.

სამხრეთ აფსიდში ჩაშენებული მეჩეთის ჯერ კიდევ არსებულ კედელში ორი კარგად გათლილი, სამკუთხად დაგვირგვინებული ქვა იყო ჩატანებული. სწორედ ამ ქვაზე დატანილი წარწერის გაშიფვრის შედეგად ვ.ჯობაძემ განსაზღვრა ტაძრის მშენებლობის თარიღი, რომელიც 963 წლის 25 მარტს, ხარება დღეს დაწყებულა. დღეს ეს წარწერა მთლიანად გამქრალია. სამუშაოების ზედამხედველობა გრიგოლისთვის მიუნდვიათ, ყოველწლიურად 5.000 ფისოსი ღვინო გაუციათ და 250 გრივი ხორბალი გაუხარჯავთ, 50 ლიტრი რკინა დასჭირვებიათ და ყოველწლიური ხარჯი 20.000 დრამა ყოფილა. მუდმივად 50 გალატოზს, მშენებელსა და მჭედელს უმუშავია, სულ კი 80 კაცი მუშაობდა, ქვას 30 ხარი ეზიდებოდა, 30 იყო გრიგოლწმინდიდან ფოროვანი ქვის მომტანიო... მშენებლობა 10 წელს გრძელდებოდა.

ოშკის ტაძრის სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ 43 მეტრია. სიგანე ექსტერიერში 30 მ, ხოლო გუმბათის ქვეშ სიმაღლე 34 მ. ტაძრის გეგმა, ჯვრისებრი მოხაზულობისაა. ნაგებობა წარმოადგენს ტეტრაკონქს, ე. ი. ჯვრის 3 მკლავი (აღმოსავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი) ნახევარწრიული აფსიდებით მთავრდება,

ოშკი

მეოთხე მკლავი (დასავლეთისა) კი – წაგრძელებული და უაფსიდოა. სამივე აფსიდის ერთსა და მეორე მხარეს ორ სართულად განლაგებულია დამატებითი სადგომები. არსებითად ეს არის ცენტრულ-გუმბათიანი ტაძრის შერწყმა ერთნავიან ბაზილიკასთან.

გუმბათი მრგვალ კვარცხლბეკზე ამოყვანილ ოთხ მასიურ, თავისუფლად მდგომ ბურჯებს ეყრდნობა, ბურჯების გრანდიოზულობა დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს, მათი გარშემოწერილობა 8 მეტრამდეა. ათამდე მკლავებგაშლილი ადამიანი ოშკის თითო ბურჯის გარშემო წრეს შექმნის. დასავლეთ მარცხენა სვეტში არის ღრმა, შეისრული, სვეტებიანი, მოჩუქურთმებული ნიში. ასეთი ნიში განკუთვნილი იყო უმაღლესი პირების დასაბრძანებლად (ეპისკოპოსისა – ჩრდილოეთით, მეფისა – სამხრეთით). სამხრეთ–დასავლეთი ბურჯის ნიშაში გამოკვეთილია ადგილობრივ მმართველთა და ეკლესიის მაშენებელთა დავით კურაპალატისა და ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის რელიეფური ნახევარფიგურები. მათი სახეები ძლიერაა დაზიანებული, ვიღაცას ისინი საგანგებოდ დაუმტვრევია.

ოშკი კარგად იყო განათებული მრავალრიცხოვანი სარკმლებით. გუმბათის ყელში 12 სარკმელია, საკურთხეველში 3, სამკვეთლოსა და სადიაკვნეში თითო; ამდენივეა მათ ზედა სართულებში. ტაძარს ოთხი კარი ჰქონდა. ერთი დასავლეთით იყო, ერთი ჩრდილოეთით, დანარჩენი ორი კარი სამხრეთით იყო. მათ შორის უმთავრესი, საზეიმოდ მორთული, ტაძრის სამხრეთ მკლავშია. ოშკის საკურთხეველში დაცულია დიდი ოთხკუთხედი, მთელი ქვისგან გამოკვეთილი ტრაპეზი, რომელიც უძრადვად იყო მოთავსებული საკურთხევლის შუა ნაწილში, აღმოსავლეთი კედლიდან 2 მეტრის მანძილზე. მისი სიგრძე უდრის 173 სმ, სიგანე — 86 სმ, სიმაღლე — 85 სმ. საკურთხევლის იატაკი 3/4 მეტრით არის ამაღლებული ტაძრის იატაკთან შედარებით. ამჟამად საკურთხეველი მიწითაა დაფარული

ოშკის ტაძარი დამშვენებულია ისეთი მდიდრული ატრიბუტით, რომელიც ქართულ არქიტექტურაში უნიკალურია, ეს არის სვეტებიანი გალერეა და მას დეკორატიულობის მხრივ ჩვენში ბადალი არ მოეპოვება. გალერეის გამორჩეულობა გარედანვე შესამჩნევია, ის ზიგზაგისებრი სახურავითაა გადახურული. შიგნით გალერეაში აღტაცებაში მოგიყვანთ ქერი, უფრო სწორად თაღნარი და კამარები სადაც სუფთად გათლილი ქვები ჯვრულად და ვარსკლავისებურადაა ჩალაგებული. აქვეა რვაწახნაგა სვეტი, რომელიც გამორჩეულია გაფორმების მაღალი დონით. აქ ნახავთ ანგელოზთა, მთავარანგელოზთა, ქერობინნთა, სერაბინნთა და ტეტრამორფთა (ოთხსახიანი ფრთოსანი არსება) გამოსახულებებს. სვეტზე გამოქანდაკებულია – მაშენებელ გრიგოლის, სირიელი მკურნალების კოზმას და დამიანეს ფიგურები. რამდენიმე წლის წინ დაიკარგა წმინდა ნინოს ბარელიეფი და დაზიანდა გრიგოლის გამოსახულებაც.

ოშკში ყველაზე გამორჩეული გუმბათია. მისი ყელის სიმაღლე 6.86 მეტრს უდრის, ხოლო შიდა დიამეტრი 9 მეტრია. თავად გუმბათი ოდნავ გამობურცული, ჩაფხუტის ფორმის კონუსია, რომლის ზედა ნაწილი დაზიანებულია. გუმბათი დახურულია წითლად და ყვითლად მოქიქული კრამიტით. გუმბათის ყელი გარედან 24 წახნაგიანია, რომლებიც ზემოთ პატარა კამარებით ერთიანდება. სარკმელთა თავებზე, კამარებს ქვეშ, სინგურით დახატული ჯვრებია. კამარები ეყრდნობა წნულით შემკულ, ორმაგ პატარა სვეტებს, რომელთა თავები და კვარცხლბეკები ბარელიეფურია. ერთ მათგანზე, ჩრდილო-აღმოსავლეთით გამოქანდაკებულია ქვის მზიდავი მუშის გამოსახულება. სხვებზე - ჯვრები, პალმეტები, ცხოველები და სხვა სამკაულებია. ცხოველების ფიგურები დიდი ოსტატობითაა შესრულებული, მათ შორის აღსანიშნავია ერთმანეთთან მოთამაშე კურდღლების სიცოცხლით სავსე რელიეფები.

სამხრეთის ფასადი

სამხრეთ-დასავლეთი მინაშენი.
ანგელოზი. ხედი აღმოსავლეთისაკენ

ბარელიეფები თავის დროზე ძოწისფერად ყოფილა შემკული, რაც მათ უფრო მეტ გამოსახველობით ეფექტს შესძენდა. ტაძარი უხვადაა შემკული ჩუქურთმებით, ხოლო რელიეფის სიმდიდრით ოშკს ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს შუა საუკუნეების ქართულ ტაძართა შორის. აღმოსავლეთ ფასადზე ლომის ფიგურაა ოსტატურად გამოქანდაკებული, ყველაზე უხვად კი სამხრეთის ფასადია შემკული. აქ სამხრეთ მკლავში, სარკმლის თავზე მოსჩანს არწივის დალეწილი ფიგურა და გაბრიელ და მიქაელ მთავარანგელოზების დასახიჩრებული ბარელიეფები. მათ თავები გასული საუკუნის დასაწყისში ადგილობრივებმა მოამტვრიეს, როდესაც სროლაში ვარჯიშობდნენ. სამხრეთის კედელზე მიწიდან დაახლოებით სამი მეტრის სიმაღლეზე შემორჩენილია ხუთი, ადამიანისხელა ფიგურისაგან შედგენილი ვედრების კომპოზიცია. ცენტრში გამოსახულია მაცხოვარი, მარჯვნივ ღვთისმშობელი (ამჟამად გადატანილია ერზერუმის მუზეუმში), მარცხნივ იოანე ნათლისმცემელი, კიდეებში კი მეფეთა დავით კურაპალატისა და ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის ფიგურებია. ეს რელიეფი მოხატული ყოფილა წითელი, ლურჯი, თეთრი და ოქროსფერი საღებავებით და ადვილად წარმოსადგენია როგორ ეფექტურად გამოიყურებოდა.
დასავლეთის ფასადზე სარკმლის თაღებზე იხილავთ კეთილ და ბოროტ ძალთა ქიდილის სიმბოლოს ლომისა და ხარის შერკინების სცენას. აქვეა ხელაპყრობილი წმინდა სვიმეონ საკვირველმოქმედის ფიგურა.

ოშკის ტაძარი მოიხატა მხოლოდ ამენებიდან 75 წლის შემდეგ, 1036 წელს ჯოჯიკ პატრიკიოზის ხარჯით, ეს დასტურდება მესაბამისი თარიღიანი წარწერით. სამწუხაროდ ამ ფრესკებიდან მხოლოდ ნამთებია შემორჩენილი, მათი უმეტესი ნაწილი საკურთხეველში მოჩანს.

ოშკი ძველი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო ტაოში. ჩვენამდე მოღწეულია მონასტერში შექმნილი ხელნაწერები, მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ოშკის ბიბლია (978), რომელიც ამჟამად ათონის მთაზეა დაცული. ოშკში მოღვაწეობდნენ მწიგნობრები და მღვდელმთავრები: გრიგოლ ოშკელი (X ს.), სტეფანე დეკანოზი (X ს.), იოანე ჩირაი (X ს.), ოშკის ბიბლიის გადამწერი — მიქაელ ვარაზვაჩეს ძე, სტეფანე მწერალი, გიორგი გელასის ძე, გაბრიელ ოშკელი (XI ს.) და სხვა.

ბანა - საქართველოს ერთ-ერთი საეკლესიო და სახელმწიფოებრივი ცენტრი ისტორიული ტაოს ტერიტორიაზე, ქოროხის ხეობაში, მდ. ბანის მარჯვენა ნაპირას. ამჟამად სოფელ ფენეკში (penek) მდებარეობს. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით „...მოერთვის ქოროხს მდინარე ბანა-ფანასკერტისა, გამომდინარე ყალნუ მთისა და მომდინარე აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ...ამ წყალზედ, მთაში, არს ბანა, აწ უწოდებენ ფანაქს“. ამ პუნქტის სახელი უფო ძველად ბანაკი უნდა ყოფილიყო.

IX საუკუნის მეორე ნახევარში ბანა სამხრეთ–დასავლეთ ქართული სამთავროს, ქართველთა სამეფოს სატახტო ქალაქად იქცა. XI საუკუნის პირველი ნახევრის მემატიანის სუმბატ დავითის ძის ცნობით: ადარნასემ, ქართველთა მეფის – დავით ბაგრატიონის ძემ „აღაშენა ბანა ხელითა კვირიკე ბანელისათა, რომელი – იგი იქმნა პირველ ეპისკოპოს ბანელ“. ბანაში აკურთხეს მეფე ბაგრატ IV (1027–1072). 1032 წელს კი აქვე მან ჯვარი დაიწერა ბიზანტიის იმპერატორის – რომანოზ III არგიროსის (1028-1034) ძმისწულზე ელენეზე. ტაძარი ხელმწიფეთა განსასვენებელსაც წარმოადგენდა. ცნობილია, რომ აქ დაიკრძალა მეფე ვახტან IV (1443–1446) და მისი მეუღლე, ფანასკერტელის ასული სითიხათუნი. მთელი მისი არსებობის მანძილზე ბანაში სიმშვიდემ ვერ დაისადგურა, XII საუკუნის პირველ ნახევარში ის სელჩუკების ხელში იყო, მისთვის იბრძოლა მეფე გიორგი III–მ (1156–1184) მაგრამ უშედეგოდ. ბანას გათავისუფლება მხოლოდ სახელოვანმა მეფეთა–მეფემ თამარმა (1184–1213) შეძლო. მისი მემკვიდრეების დროს კი ტაძარი კვლავ შემოსევებისა და შფოთიანობის ეპიცენტრში აღმოჩნდა.

ბანა ძველი საქართველოს უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული და კულტურული ცენტრი იყო. აქ მოღვაწეობდა თვალსაჩინო სწავლული ზაქარია ბანელი, რომელიც საქართველოს მეფის გიორგი I–სა (1014–1027) და ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II–ს (958-1025) შორის გამართულ მოლაპარაკებებში მონაწილეობდა. ბანაში გადაწერილ ხელნაწერთა შორის უგვიანესია 1511 წელს შექმნილი საბაწმინდის ტიპიკონი, რომელიც ქეთევან დედოფალს დაუკვეთია.

XVI საუკუნის მეორე ნახევარში ბანა ტაო–კლარეჯეთის სხვა მონასტერთა მსგავსად თურქ ხელისუფალთა ხელში მოექცა, რომელთაც ბოლო მოუღეს გაცხოველებულ კულტურულ და ლიტერატურულ ცხოვრებას.

ბანას კათედრალის შესახებ პირველი ცნობები გერმანელ ბოტანიკოსს, კარლ კოხს ეკუთვნის, მან 1843 წელს ტაძარი დაუნგრეველი ნახა და აღფრთოვანებულმა აღნიშნა: „ჩემ მიერ ნანახთაგან ეს უეჭველად ულამაზესი და ყველაზე ამაღლებული მხატვრული ქმნილებაა მთელს აღმოსავლეთში, გარდა კონსტანტინოპოლისა“. კათედრალი ათასი წელი უძლებდა დროის შემოტევას, მაგრამ 1877–1878 წლების რუსეთ–თურქეთის ომმა, ტაძარი საგრძნობლად დააზიანა. 1902 წელს როდესაც ექვთიმე თაყაიშვილმა მოინახულა ეკლესია, იგი თითქმის სრულად იყო დანგრეული. 1984 წლის მიწისძვრამ სანახევროდ ჩამოაქცია გადარჩენილი კონქის ნახევარი. ბანას რეკონსტრუქციის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ოშკის ეკლესიის სამხრეთ აფსიდში შემორჩენილია მხატვრობა სადაც ასახულია ბანას ეკლესიის გამოსახულება, თუმცა საუბედუროდ ზედა ნაწილი ჩამოთლილა, რის გამოც არაა ცნობილი ზუსტად როგორ გამოიყურებოდა კათედრალის გუმბათი.

ბანა მრგვალად აღიქმება, თუმცა რეალურად მრავალწახნაგა იყო. სამსართულიანი და რთული კომპოზიციის ტაძარი ეკლესიისგან და მრგვალი გალერეისგან (შემოსავლელისაგან) შედგება. პირველი სართული 28 წახნაგა იყო და იგი მოგვიანებით გადაუკეთებიათ. ძველად კი გარედან შემოსაზღვრული ყოფილა გალავნით. თავის გეგმით და მასზე აგებული სივრცითი შენობით ბანა წარმოადგენს კოლოსალური ზომის ტეტრაკონქს, ტეტრაკონქის მკლავებს შორის განლაგებულია გუმბათქვეშა ბურჯები - პილონები, სადაც სამ იარუსად მოწყობილი სადგომებია (პატრონიკენი), ხოლო ოთხივე აფსიდის ქვემოთა ნაწილი, ჩვეულებრივი მთლიანი კედლის ნაცვლად, გამქოლი თაღედით გარსშემოსავლელისაკენ იხსნება. შენობის მთელი სიმაღლე 30 მეტრს აღემატება. ტაძრის ხუროთმოძღვრული დეტალები და მორთულობა ტექნიკური ოსტატობითა და მაღალმხატვრულობით გამოირჩევა. აფსიდებისა და პატრონიკეთა მალებში მოთავსებული მრგვალი სვეტები შემკულია ვოლუტებიანი სვეტისთავებით, ფასადის მთელ პერიმეტს მისდევს დეკორატიული თაღედი, თაღებს ზემოთ კი მცენარეული ჩუქურთმებია.

კათედრალის შიდა სივრცე სხვადასხვა დონეზე შემომავალი სხვადასხვა ძალის შუქით უნდა ყოფილიყო გასხივოსნებული: გარეშემოსასვლელიდან არაპირდაპირი სინათლე შემოდიოდა, აფსიდების თორმეტი და გუმბათის თანაბრად დაშორიშორებული ოთხი სარკმლიდან კი - პირდაპირი.

ეკლესიის ერთიანად სუფთად თლილი ქვით გამოყვანა ცხადყოფს, რომ თავდაპირველად არ აპირებდნენ ეკლესიის მოხატვას. მაგრამ მშენებლობის დამთავრების შემდეგ გადაუწყვეტიათ ზოგიერთი სიბრტყე მაინც მოეხატათ.

ამ მხატვრობის ფრაგმენტები, რომლებიც ძირითადად წარწერებს შეიცავს, ჯერაცაა გადარჩენილი აღმოსავლეთი აფსიდის ჩრდილო აღმოსავლეთ სადგომში. 1879 წლის ცნობის თანახმად ეკლესიის იატაკი "მინასავით გლუვი" იყო. ბანას მორთულობა ძუნწია, დასავლეთის პორტალის თაღზე კარგად მოსჩანს მცენარეული ორნამენტი, შემორჩა ბროწეულების გამოსახულებაც. ადრე მთელი ეს ნაქანდაკევი ძოწისფერით ყოფილა გაცხოველებული. დასავლეთით ასევე შემორჩენილია ლამაზი ასომთავრული წარწერა, საკუთარი სახელი „მანუჩე". იგი, პირველად პროფესორმა ვალერი სილოგავამ ამოიკითხა. ჯერ XIII საუკუნის II ნახევარში სელჩუკთა შემოსევების გამუდმებული საფრთხის გამო, შემდეგ კი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ტაძრის გარშემოსავლელის ყველა სარკმელი და შესაბამისი სივრცეები გულდაგულ ამოავსეს ტლანქად ნათალი ქვით. აღმოსავლეთითა და სამხრეთით მიადგეს კვადრატული კომკისებური კონსტრუქციები. ამიტომ ბანა დღეს უფრო ციხე-სიმაგრეს წააგავს ვიდრე ეკლესიას. ბანას გარშემო არსებული ლანდშაფტი წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ილია ზდანევიჩმა საუკეთესოდ დაახასიათა იგი: "არანაკლებ მნიშვნელოვანია პეიზაჟი, რომელიც პენეკს აკრავს. ყველა ფერის – დაწყებული ნაცრისფერითა და ცისფერით, ვიდრე ლაჟვარდოვნამდე და ლურჯამდე, და ვარდისფერით ვიდრე ალისფერამდე და მეწამულამდე– სრულიად შიშველი პლასტები მთებისა და ბორცვებისა ქაოსად ისეა არეული, რომ მათ შუა აღმართული ტაძარი ყოფს ლურჯ ფერებს წითელი ფერებისაგან, გადაიტანს რა პირველს მარცხნივ, მეორეს კი დასავლეთით. დავიტირეთ რა ნანგრევები, ოლთისამდე ჩვენ იმ მიწაზე მივდიოდით, რომელიც სისხლით იყო გაპოხილი".



იშხნის საეპისკოპოსო ცენტრი ისტორიულ ტაოში მდებარეობს, მდინარე ოლთისის წყლის ნაპირზე, ართვინის ვილაიეთში. სოფელში (Dagyolu). საკმაოდ მაღალ მთაზე ვიწრო სამანქანო გზა ადის. სიცხისაგან მოხრიოკებული მთები ოქროსფერ დევგმირებს ჰგვანან. მათ მხურვალე კალთებზე კი ერთადერთი ჯიშის ყვავილი ხარობს, იმდენად ლამაზი და გამძლე, რომ მას ადგილობრივებმა იშხნის ცრემლები შეარქვეს.

ამ გადარუჯულ გარემოში ოაზისს ჰგავს სოფელი, რომლის შუაგულში დგას ხოხბისყელისფერი ტაძარი. ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციის დროს ეს ადგილი სოფლის განაპირა მხარე ყოფილა. "ეს საუკეთესო კუთხეა ტაოსი" - აღნიშნავს მეცნიერი. წალკოტში ჩაფლული ეკლესიის ყოველი დეტალი თუ ჩუქურთმა მშვენიერია.

ტაო-კლარჯეთისა და შავშეთის ხუთ საეპისკოპოსოს შორის იშხანს უმეტესი სახელი და პატივი ჰქონდა. კათედრალურმა ტაძარმა და საეკლესიო ცენტრმა მოქმედება მხოლოდ XVII საუკუნის მეორე ნახევარში შეწყვიტა.

652 წელს ამ ადგილას მართლმადიდებელმა სომეხმა ეპისკოპოსმა ნერსესმა ზვართნოცის ტიპის ეკლესია ააშენა. იგი მურვან ყრუს 736-738 წლების ლაშქრობის დროს დაინგრა. IX საუკუნის დასაწყისში ამ ადგილას გრიგოლ ხანცთელი მოვიდა. გიორგი მერჩულე თავის თხზულებაში იშხნის განახლებას ეხება - კონსტანტინოპოლის მოლოცვის შემდეგ ნეტარი გრიგოლი და ღირსი მამა საბა ტაოში რომ მოვიდნენ და იშხანს მოუახლოვდნენ, გამოეცხადათ ამ ტაძრის პირველი დიდებულება და ეუწყათ, რომ საბამ უნდა აღადგინოს დაქვრივებული ეკლესია. თანაც ის ადგილი უკვე მიუდგომელი იყო, მისასვლელი გზაც დაჰკარგვოდათ და ასევე უფლისაგან ეუწყათ, როგორ უნდა მისულიყვნენ. იშხანს რომ ავიდნენ, ძალიან გაიხარეს, რადგან იხილეს სულიერად და ხორციელად სანუგეშო ადგილი. საბამ მეორედ ააშენა ტაძარი. ტაძრის დღევანდელი კომპოზიცია საბას პერიოდისაა, თუმცა X საუკუნის II ნახევარში იშხანი საფუძვლიანად განაახლეს და 1014-1027 წლებში შეამკეს კიდეც. წარწერის მიხედვით ცნობილია ხუროთმოძღვრის „ივანე მორჩაის ძის“ ვინაობა. 2011 წელს სამეცნიერო ექსპედიციამ (გ.კალანდია, ქ.ასათიანი) იშხანში სამხრეთი კარის ზემოთ არსებული წარწერა აღმოაჩინა და გამოაქვეყნა. იგი სავარაუდოდ გიორგი I-ის მეფობაში არსებულ კარიბჭეს ამშვენებდა. 2013 წელს წარწერა მეცნიერებმა (ბ.კუდავა) მთლიანად გადმოიღეს და მოხსენიებული ქტიტორის ვაჩე მირდატის ძის სახელი ზუსტად ამოიკითხეს.

ბაგრატ IV-ის მეფობის დროს იშხნის ეპისკოპოსის იურისდიქცია იმდროინდელი საქართველოს რამდენიმე რეგიონზე ვრცელდებოდა. იმდენად გავლენიანი სასულიერო კერა იყო, რომ ოსმალთა ბატონობის დასაწყისში იშხნელ ეპისკოპოსს თავად სულთანი ამტკიცებდა.

ტაძრის კედლებს ულამაზესი ასომთავრული წარწერები ამშვენებს. მათ რომ კითხულობ, გგონია, ამ ნატიფი ასოების ავტორები და მოხსენიებული პირები - „გიორგი მეფე და შვილნი მათნი“, ანტონ ეპისკოპოსი, ბაგრატ კურაპალატი, აშოტ კურაპალატი, ბაგრატ მაგისტროსი და სხვები, საუკუნეთა შემდეგაც იშხნის კედლებში ცოცხლობენ. "აცხოვნენ ღმერთმან მეფენი ჩუენნი: დავით ქართველთა მეფე და აშოტ კურაპალატი, ბაგრატ მაგისტროსი და სუმბატ ანთიპატრიკი...” “ქ. იესუ ქრისტე, ადიდე ორთავე შინა ცხორებათა გიორგი მეფე და შვილნი მათნი. ამინ...”

დასავლეთის ფასადი

გუმბათის დამჭერი კონსტრუქცია

"ქ. სახელითა ღმრთისაითა მე, გლახაკმა ანტონი ეპისკოპოსმან იშხნელმან, განვაახლე ესე კარისა ბჭე წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა სადიდებლად მეფეთა, გიორგი მეფისა და შვილთა მათთა, სალოცველად სულისა ბაგრატ კურაპალატისაისა, შენდობისათვის ცოდვათა ჩუენთაისა." ამ მეფეთა მოღვაწეობა 958-1024 წლებში თავსდება, ყოველმა მათგანმა იშხნის გამშვენიერებასა და გაძლიერებას წარუშლელი კვალი დაატყო. გადმოცემის თანახმად შენობის უფრო მეტი სიმტკიცისათვის ოსტატის ბრძანებით ხელოსნებს იშხნის ასაგებად კირი სუხბეჩის საძოვრებზე მობალახე ძროხების რძით უზელიათ, ამით ეკლესიამ მეტი სიმშვენიერე და სიცოცხლე შეიძინაო. იშხნის კათედრალური ტაძარი ჯერ კიდევ ინახავს მოხატულობის ფრაგმენტებს. გუმბათის სფეროში ჯვრის ამაღლების სცენაა გამოსახული. წრეში ჩაწერილ ჯვარს ოთხი მფრინავი ანგელოზი აღამაღლებს. მოხატულობის ნაწილი შემორჩენილა კედლებზეც და სარკმლის წირთხლებზეც, ხოლო თუ დასავლეთ მხარეს კარგად დააკვირდებით, თანდათან წმინდანთა ლამაზი სახეები გამოიკვეთება. მხატვრობა XI საუკუნის I ნახევრით თარიღდება. ტაძარში 24 სტრიქონიანი უნიკალური ფრესკული ასომთავრული წარწერაა, სადაც მოხსენებულნი არიან მეფე გიორგი II (1072-1089), დავით IV აღმაშენებელი (1089-1125) და დავითის ქალიშვილი თამარი. იშხნის თავდაპირველი, ნერსესისეული, ტაძრისაგან გადარჩა მხოლოდ საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდა სვეტებზე თაღების მწკრივით. ძველი აფსიდა გარედან მთლიანად დაფარულია ახალი კედლებით. ახლანდელი ტაძარი თვალსაჩინოდ წარგძელებული ჯვაროვან-გუმბათოვანი ნაგებობაა, რომლის ჯვარისებრი მოხაზულობა თითქმის მთლიანად იხატება გარედანაც მიწის დონეზე.

დასავლეთის, სამხრეთის და ჩრდილოეთის მკლავები სწორკუთხაა. საკურთხევლის აფსიდას ორივე მხარეს მცირე აფსიდებით დასრულებული სადიაკვნე და სამკვეთლო ქონდა. დასავლეთის მკლავი წარმოადგენს სწორკუთხა დარბაზს, რომლის გრძივი კედლები პლასტიკურადაა დანაწევრებული კედლის ნახევარსვეტებით. ჩრდილოეთით მას გრძელი, უაფსიდო სადგომი ეკვრის. გუმბათი ეყრდნობა 4 თავისუფლად მდგომ ბურჯს, რომელთაც ძლიერ პროფილირებული და ჩუქურთმებით შემკული ბაზისები და სვეტისთავები აქვს. მრგვალი გუმბათის ყელი შიგნიდან და გარედან წვრილი ლილვებითა და გრეხილებზე დაყრდნობილი თაღებითაა შემკული. იშხნის ტაძარი ორნამენტის მრავალფეროვნებით, სიმდიდრითა და თავისი არქიტექტურით უმნიშვნელოვანესი ძეგლია.

კათედრალის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 30-ოდე მეტრის მანძილზე, მდებარეობს მშვენიერი სამლოცველო, რომელიც წარწერის თანახმად, მეფეთა მეფე გურგენმა (+1008) ააშენა 1006 წელს. განსაკუთრებით საინტერესოა აღმოსავლეთი სარკმლის მოქანდაკება, სადაც ორნამენტებში ჩასმულია მითიური და რეალური ცხოველების ბრწყინვალედ შესრულებული ფიგურები. ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი ნუსხის მინაწერი მოგვითხრობს იშხნელ მოღვაწეთა მწიგნობრულ საქმიანობაზე. ილარიონ იშხნელის (X-XI საუკუნეები) დაკვეთით არის გადაწერილი ასკეტურ თხზულებათა კრებული და მესტიის სახარება (1033), ამბერკი იშხნელის (XVI ს.) დავალებითა და დახმარებით განუახლებიათ 1233-წლით დათარიღებული ხელნაწერი. იშხანში შეიქმნა ჭედური ვერცხლის მოოქრული ჯვარი, რომელიც, წარწერის თანახმად, 973 წელს ეპისკოპოს ილარიონს იშხნის მონასტრისთვის შეუწირავს.

დოლისყანა

გუმბათის ყელი.
ხედი ჩრდილო-დასავლეთისკენ

ინტერიერი. გუმბათი

დოლისყანა მდებარეობს მდინარე არტანუჯისწყლისა და იმერხევის შესართავთან, თანამედროვე სოფელ ჰამამლიში (Hamamli), მაღალი მთის ფერდობზე. სამონასტრო კომპლექსიდან მხოლოდ მთავარი ტაძარია შემორჩენილი, დანარჩენი ნაგებობები კი უკვე XIX საუკუნისათვის მთლიანად განადგურებული იყო. მონასტერი მეფე სუმბატმა (954–958) ააგო. მანვე შეამკო სამხრეთი ფასადი, გუმბათის ყელის შიდა და გარე პერანგი. მეფის გამოსახულება შემორჩენილია ეკლესიის გუმბათის ჩრდილო–აღმოსავლეთ წახნაგზე შესაბამისი წარწერით „ქრისტე, ადიდენ მეფე ჩუენი სუმბატ“, სამხრეთი მკლავის სარკმლის თავზე კი გამლილია ორსტრიქონიანი ლამაზი ასომთავრული წარწერა: „ქრისტე, ადიდე მეფე ჩვენი სუმბატ მზეგრძელობით“. სუმბატის ფიგურა ამჟამად დაზიანებულია, ვინაიდან მას სროლაში ვარჯიშისას სამიზნედ იყენებდნენ. მოტეხილია თავის ზედა ნაწილი და სახის ნაკვთები. სახის შემორჩენილ ქვედა ნაწილზე მკაფიოდ განირჩევა წვერი.

დოლისყანის მონასტრის დაარსებისა და აშენების ზუსტი თარიღი ცნობილი არაა. ეკლესიის არქიტექტურა მოწმობს, რომ იგი ტაო–კლარჯეთის ხელოვნების აყვავების უშუალოდ წინა პერიოდში არის აგებული. მასში თავს იჩენს ახალი დროის ხუროთმოძღვრული ელემენტები — გუმბათის დეკორატიული თაღნარი, სარკმლების თავზე არსებული პოლიქრომიული „მარაოები“, მოჩუქურთმებული თავსართები და სხვა. ამავე დროს, დოლისყანა ზოგი ნიშნით ჯერ კიდევ ე.წ. გარდამავალ პერიოდს მიეკუთვნება და აქვს წინა ეპოქისთვის დამახასიათებელ ნიშნებიც - დამჯდარი პროპორციები, განსაკუთრებით გუმბათის ყელისა, უხეშად დამუშავებული ქვები, მოუჩუქურთმებელი კარნიზები და სხვა.

დოლისყანის ეკლესია ცენტრალურ–გუმბათოვანი ნაგებობაა ძირითადი ჯვრული სივრცითა და ოთხივე კუთხეში დამატებითი სათავსებით. შენობის გეგმა წაგრძელებული მართკუთხედის ფორმისაა. ძირითად ჯვრულ ნაწილს ქმნის ცენტრალური კვადრატული ნაწილიდან გამომავალი ოთხი მკლავი.

ეკლესიას მთავარი შესასვლელი დასავლეთი მკლავის სამხრეთ მხარეზე აქვს. ტაძარში შესვლა შესაძლებელია სამხრეთ–დასავლეთი კუთხის სათავსის გავლით, რომლის წინა კედელიც სრულადაა დანგრეული. დავით ხოშტარია ფიქრობს, რომ ეს სათავსო სამხრეთიდან თაღებით იქნებოდა გახსნილი და სტოა–კარიბჭის სახე ექნებოდა. ტაძრის მეორე შესასვლელი დასავლეთი მკლავის დასავლეთი კედლის ცენტრშია, კარი ინტერიერში ამოშენებულია, გარედან კი ეს ადგილი მიწითა და ნაყარი ქვებითაა სავსე. ოთხივე მკლავში, მათ შორის საკურთხევლის აფსიდშიც თითო დიდი სარკმელია, ხოლო გუმბათში — ოთხი. მკლავების სარკმლები შიგნითკენ ძლიერ ფართოვდება. მაგალითად, სამხრეთის მკლავის სარკმლის სიგანე ფასადზე 45 სმ–ია, ხოლო ინტერიერში — 150 სმ. ამ მხრივ განსხვავებულია გუმბათის ყელის სარკმლები. ისინი თითქმის პარალელურწირთხლებიანია. შედარებით პატარა სარკმლებია პასტოფორიუმთა აფსიდებშიც.

დოლისყანა შერეული მასალითაა ნაგები. კედლების შიდა და გარე წყობას შეადგენს საშუალო ზომის უხეშად დამუშავებული ქვები, რომლებიც სწორ რიგებადაა დალაგებული, წინა მხრიდან მოსწორებულია, მაგრამ კუთხეები და წიბოები არაა გამოყვანილი; ქვებს შორის დარჩენილი ღრეჭოები კენჭებითა და კირითაა ამოვსებული.

დოლისყანა

სამხრეთის მკლავი.
მთავარანგელოზი მიქაელი

გუმბათი. მეფე სუმბატი დოლისყანის ეკლესიის
მოდელით ხელში, ხედი ჩრდილო-დასავლეთისაკენ

კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ნაწილები, თაღები, პილასტრები, ღიობები, კუთხეები სუფთად თლილი ქვებითაა გამოყვანილი. ასევე სუფთად გათლილი ქვიშაქვის კვადრატული ფორმის ფილებითაა მოპირკეთებული გუმბათის ყელის მთელი შიდა და გარეთა მხარე.

დოლისყანის ეკლესია გამოირჩევა სკულპტურული რელიეფების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით. სამხრეთის ფასადის სარკმლის შუა წელზე ორივე მხარეს ანგელოზების ფიგურებია, მარცხნივ მიქაელ, მარჯვნივ კი გაბრიელ მთავარანგელოზისა. სასუფევლის ამ მცველებს მაყურებელზე მაგიური შთაბეჭდილება უნდა მოეხდინათ. როგორც გაბრიელის სამოსზე დარჩენილი წითელი საღებავის კვალი გვიჩვენებს, ფიგურები თავიდან დაფერილი უნდა ყოფილიყო, რაც მათ კიდევ უფრო წარმოსადგეს გახდიდა.

გაბრიელ მთავარანგელოზის წინ მედალიონში დოლისყანის ოსტატის გაბრიელ დიაკონის ნახევარფიგურაა. მის ქვემოთ - ურო მოსჩანს, მარცხნივ ექვსქიმიანი ვარსკლავი - დავითის ფარია გამოქანდაკებული. შემორჩენილია ჯვრის ორნამენტული გამოსახულებაც. სამხრეთი მკლავის სამხრეთი ფასადის ერთ–ერთ დიდ ქვაზე ამოკვეთილი იყო მზის საათი. 2003 წელს აღნიშნული საათი ვიღაცამ კედლიდან ამოამტვრია და საეჭვო ვითარებაში გაუჩინარდა.

ეკლესიის კედლები, მათ შორის გუმბათიც, როგორც ჩანს მოხატული ყოფილა. ისინი 1964–1967 წლებში კარგ მდგომარეობაში მოინახულეს, შეისწავლეს და ფოტოზე დააფიქსირეს ფრანგმა მეცნიერებმა ჯ. და მ.ტიერებმა. ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო შეთეთრებული საკურთხევლის შუა ნაწილში არსებული მოციქულთა ფიგურები და და ზედა ნაწილში — მაცხოვრის დიდი გამოსახულება.

ჩანდა ასევე დიდი ფრაგმენტები გუმბათის ყელსა და გუმბათში (წინასწარმეტყველები, მაცხოვრის ამაღლების კომპოზიცია). 1996 წელს ხელოვნებათმცოდნე ი. გივიაშვილმა დოლისყანის ფრესკები ფერად ფირზე იმ დროს დააფიქსირა, როცა ისინი ჯერ კიდევ ორად გაყოფილი ტაძრის პირველ სართულზე თივის საწყობში იყო მოქცეული, მას შემდეგ ფრესკების მდგომარეობა ძლიერ შეიცვალა და გაფერმკთალდა, აუამად კი მათი გარჩევა ძალიან ძნელია. მხოლოდ მეტ–ნაკლებად დაზიანებული ექვსი ფიგურაა შემორჩენილი საკურთხევლის ქვედა რეგისტრში, სარკმლის მარჯვნივ. ფრესკასთან არსებული წარწერის მიხედვით ირკვევა, რომ მარცხნიდან მეორე წმინდა ილარიონია, ხოლო მესამე —გრიგოლ საკვირველთმოქმედი. დანარჩენების ვინაობა გაურკვეველია. შემორჩენილია ასევე განკითხვის დღის ფრესკის ფრაგმენტები სამხრეთის კარის ტიმპანში. წარწერები XIII საუკუნეში უნდა იყოს შესრულებული. დოლისყანა ერთადერთი ქართული ეკლესიაა, სადაც აფსიდის მოხატულობაში არაბული წარწერა იყო ჩართული. სამწუხაროდ, იგი რამდენიმე წლის უკან ჩამოიშალა.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს რომ ეკლესია მთავარანგელოზთა სახელობისა იყო, ნაწილი კი თვლის რომ იგი წმინდა სტეფანეს სახელზე აიგო. დოლისყანაში ერთი პერიოდი მეჩეთი იყო მოწყობილი, რამაც ტაძარი დანგრევას გადაარჩინა. ტაძართან მიშენებულ სახლში კი ლაზი ხოჯა და მისი გურჯი მეუღლე ცხოვრობდნენ. მათი დიდი სურვილი ტაძრის მუზეუმად გადაკეთება და შენობის რესტავრაცია იყო.

არტანუჯის ციხის ნანგრევები

არტანუჯის ციხე

ციხის გარე კედელი

ციხის საერთო ხედი

არტანუჯი კლარჯეთის უძველესი ქალაქია. როგორც დასახლებული პუნქტი, ის უკვე ქრისტიანობამდელ ხანაში არსებობდა. V საუკუნის ბოლოს თუხარისიდან აქ გადმოვიდა ადგილობრივ ერისთავთა რეზიდენცია. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალმა „იხილა კლდე შუა კლარჯეთსა, რომელსა სოფელსა ერქუა არტანუჯი და მოუწოდა არტავაზს, ძუძუსმტესა მისსა, და დაადგინა იგი ერისთავად; და უბრძანა, რათა ააგოს ციხე არტანუჯისა... ხოლო არტავაზ აღაშენა ციხე არტანუჯისა“. VIII საუკუნეში ციხე, როგორც ჩანს მიტოვებული იყო. ამ ციხის აღორძინება აშოტ I კურაპალატის სახელს უკავშირდება. აშოტი სათავეში ედგა ქართლის ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა და იძულებული გახდა გაქცეულიყო შავშეთ-კლარჯეთში, რომელიც პოლიტიკურად ბიზანტიას ეკუთვნოდა. აშოტ I ამ ადგილების მფლობელი და ბიზანტიის ვასალი გახდა, მიიღო ბიზანტიის სამეფო კარის კურაპალატის პატივი, აღადგინა ვახტანგ გორგასლის მიერ აშენებული და შემდეგ მურვან ყრუს მიერ აოხრებული არტანუჯის ციხე, მის მახლობლად ქალაქი გააშენა და ბაგრატიონთა საბრძანებლად გამოაცხადა, აქვე ააგო წმინდა პეტრე და პავლე მოციქულების სახელობის ეკლესია. ამ დროიდან ქართლის პოლიტიკურმა ცენტრმა მთლიანად სამხრეთში გადაინაცვლა. IX საუკუნის ბოლოდან არტანუჯი დაუმკვიდრდა აშოტ I-ის უფროსი ძის ადარნასეს შთამომავლებს, რომლებიც „არტანუჯელებად“ მოიხსენიებიან.

1010 წელს ბაგრატ III-მ სუმბატ არტანუჯელი ძმასთან ერთად ფანასკერტში დარბაზობაზე მიიწვია და ციხეში გამოამწყვდია. სუმბატის მემკვიდრე კონსტანტინოპოლში გაიქცა, დარჩენილმა კლარჯმა ბაგრატიონებმა პატიმრობაში გალიეს სული. არტანუჯი მეფის საკუთრება გახდა. ამის შემდეგ არტანუჯმა ნაწილობრივ დაკარგა უწინდელი პოლიტიკური როლი, თუმცა დარჩა მნიშვნელოვან ქალაქად. ის ხშირად იხსენიება XI საუკუნის მოვლენების ამსახველ ქართულ მატიანეებში. 1080 წელს, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, ქალაქი გადაწვეს თურქ-სელჯუკებმა. XIII საუკუნიდან არტანუჯი ათაბაგთა გამგებლობაში იყო. 1553 წელს ათაბაგ ქაიხოსრო II-ს არტანუჯი ერზრუმის მმართველმა ისქანდერ ფაშამ წაართვა. შუა საუკუნეების ბოლომდე ქალაქის მოსახლეობა, როგორც ჩანს, დიდწილად ქართული იყო. XVII-XVIII საუკუნეებში არტანუჯელი ქართველები ძირითადად გამაჰმადიანდნენ, ნაწილმა კათოლიკობა მიიღო. ამავე ხანებიდან იწყება აქ კათოლიკე სომხების ჩამოსახლება.

არტანუჯი ახლა ართვინის ოლქს ექვემდებარება, აერთიანებს 50 სოფელს, 50 ათასამდე მოსახლით. დაბა არტანუჯში 6 ათასამდე კაცი ცხოვრობს.

„არტანუჯი და ართვინი განლაგებულნი არიან ისეთ ციცაბო ფერდობებზე, რომ გიკვირს, ნუთუ ასეთ ადგილას შეიძლებოდა ქალაქების განვითარება“, - წერდა 1879 წელს დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც არტანუჯის ციხე მოინახულა. არტანუჯი იყოფა ორ ნაწილად, ისინი ერთმანეთისაგან ორიოდე კილომეტრითაა დაშორებული. ახალი უბანი (Yeni Ardanuc) გაშენებულია XX საუკუნეში არტანუჯისწყლის მარჯვენა დაბალ ნაპირზე, შედარებით სწორ ადგილას. ძველი უბანი (Eski Ardanuc), მას უწოდებენ ადაქალეს, (Adakale) მდებარეობს მდინარის მარცხენა ნაპირზე აღმართული გრანდიოზული კლდოვანი მთის ვრცელ, დამრეც ბაქანზე. ეს არის ისტორიული ქალაქი არტანუჯი, რომელსაც ზღუდე ერტყა (ახლა მისგან მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი). მის ზემოთ იწყება გაშიშვლებული პიტალო კლდე თითქმის ვერტიკალური კალთებით.

არტანუჯის ციხე



კლდის თავზე დგას ციხე - არტანუჯის ბობოქარი ისტორიის ყველაზე თვალსაჩინო მატერიალური ნაშთი. მას უჭირავს კლდის მთელი ზედა მოედანი, რომელსაც სამხრეთ-ჩრდილოეთის ღერძზე ძლიერ წაგრძელებული ფორმა აქვს და ციტადელიც, შესაბამისად, სიგრძეშია გაქიმული დაახლოებით 220 მეტრზე, სიგანე ყველაზე ფართო ადგილას 55 მეტრს აღწევს, ციხის კედლები რელიეფის მოხაზულობას მიჰყვება, მრუდხაზოვანია. როგორც ჩანს, ციცაბო კლდე ისეთ საიმედო დაცვას უზრუნველყოფდა, რომ კედლებში კომკების ჩართვა საქიროდ არ მიუჩნევიათ - მათი კვალი არსად ჩანს. ციხის სათავდაცვო სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ბუნებრივი გამოქვაბულები, რომლებიც ციხეს გვირაბებით უკავშირდება.

ციხის შიგნით ახლა რამდენიმე შენობის უმნიშველო ნაშთი განირჩევა. მათი არქიტექტურული სახისა და დანიშნულების გარკვევა შეუძლებელია. შედარებით მეტი რამ შემორჩა ციტადელის შუა ნაწილში მდგარი ეკლესიისაგან, რომელიც წმიდა პეტრესა და პავლეს ეკლესია უნდა იყოს.

ქალაქის უძველესი ნაგებობაა ადაქალეს ჩრდილოეთ კუთხეში მდგარი ეკლესიაა. ის აგებულია კლდოვან კონცხზე, რომელიც არტანუჯისწყლის ღრმა ხეობას გადაჰყურებს. ტაძრის ჩრდილოეთ კლდიან ქარაფამდე ათიოდე მეტრია. შენობა დგას სპეციალურად მოსწორებულ და ნაწილობრივ სუბსტრუქციით ამოშენებულ კლდოვან ბაქანზე. ეკლესია ამჟამად თითქმის მთლიანად დანგრეულია.

ძველ უბანში, პირველი ეკლესიიდან მცირეოდენ მოშორებით იდგა მეორე ეკლესიაც, რომელიც გვიანი შუა საუკუნეებისათვის დაინგრა. მის ადგილას 1864 წელს არტანუჯის იმდროინდელმა მმართველმა სულეიმან ფაშამ, ააგო ისქანდერ ფაშას (1553 წელს არტანუჯის დამპყრობლის) ჯამე.

მასში ჩართულია ეკლესიის კედლების ნაშთები. გარდა ამისა, ჯამეს მშენებლობისას უხმარიათ ეკლესიის ჩამოცვენილი ქვებიც. ჯამეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ნიკო მარმა ნახა თავდაყირა ჩადგმული ორსტრიქონიანი ფრაგმენტი ქართული წარწერისა. მასზე იკითხებოდა: "წ(ი)ნ(ა)მძღ(უა)რს და მ(ის)სა დას..." ამჟამად წარწერა დაკარგულია

786-809 წლებში ქართლის ერისმთავარი, 809-826 წლებში კი ტაო კლარჯეთის ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის მამამთავარი და მეფე აშოტ I კურაპალატი დაკრძალულია არტანუჯის ციხის ტერიტორიაზე, მის მიერვე აგებული პეტრე-პავლეს ეკლესიის გვერდით.

ხახული

ხედი ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ

სამხრეთი მკლავი.
შეწყვილებული სარკმლის გაფორმება

ხახული, შუა საუკუნეების მონასტერი ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, ტაოში, მდ. თორთუმისწყლის ერთ-ერთ გვერდითა ხეობაში, მდ. ხახულისწყლის მარცხენა ნაპირზე, ამჟამად სოფელ ბაღბაშის (Bağbaşi) ტერიტორიაზე. ტაძარში ამჟამად მოქმედებს მეჩეთი.

დააარსა დავით III კურაპალატმა (X საუკუნის II ნახევარი). თანდათან ხახულის მომიჯნავე მიწებზე ჩამოყალიბდა ხახულის თემი - ეკომონიურად დაწინაურებული რეგიონი (უფრო გვიანდელი ხანის ოსმალურ დოკუმენტებში ხახულის თემი "ხახოს ხეობად", ზოგჯერ კი "იშხანის" სახელით იხსენიება. აქ 100-მდე სოფელი და 30-მდე დამოუკიდებელი წვრილი აზნაური ითვლებოდა).

ხახულის მონასტრის დიდი გუმბათოვანი ეკლესია, გეგმით ჯვრისებრი, წაგრძელებული ნაგებობაა, გუმბათი აფსიდის კუთხეებსა და 2 თავისუფლად მდგომ ბურჯს ეყრდნობა. დასავლეთის მკლავი ბოძების ორი წყვილით სიგრძეზე სამ "ნავად" იყოფა. აღმოსავლეთის მკლავი დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რომლის ორივე მხარეს ასევე მცირე აფსიდებით დაბოლოებული თითო სათავსია. ტაძარი მდიდრულადაა მორთული ჩუქურთმებით. გუმბათის ყელი შემკულია გრეხილი შეწყვილებული ლილვებით და მათზე დაყრდნობილი თაღებით, სარკმელთა სათაურებიც მოჩუქურთმებულია.

გუმბათის ყელზე, სვეტის ბაზისებთან ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა ასომთავრული წარწერები, როგორც ჩანს, ქვისმთლელთა სახელები: "გურსი, ადერკ, მიქელ, ჯავახ, თუალშავა, გიორგი, თუალისა" და სხვა. ეს წარწერები ძეგლის თანადროულია. ყველა სხვა კი მოგვიანო ხანას მიეკუთვნება (XIV ს).

განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრეთ შეწყვილებული სარკმლის კომპოზიცია. სარკმლის თავზე ორი ფერის ქვით გამოყვანილი რადიალურად გაშლილი სხივებია, ხოლო მათ ფონზე შეწყვილებული სარკმლის თაღებს შუა ჩასმულია არწივის საყოველთაოდ განთქმული ჰორელიეფური გამოსახულება. არწივი ისე ოსტატურადაა გამოქანდაკებული და კედელში ჩამაგრებული, რომ გგონია სარკმლის თავზე შემომჯდარი გამქოლი მზერით გაკვირდება და კლანჭებში მოქცეულ მსხვერპლთან ერთად ეს ესაა აფრინდება. მთელი კომპოზიცია დაგვირგვინებულია ფართოდ გაშლილი დეკორატიული თაღით, რომლის ზედაპირი დაფარულია ორნამენტით. ტაძარი უხვად არის შემკული ჩუქურთმებით (დასავლეთი მკლავის წნულიანი სვეტისთავები და სხვა). ხახულში ასევე გამორჩეულია სამხრეთ ფასადზე განთავსებული შუა კარის შემკულობა. იგი თავის დროზე სამხრეთ ფასადზე გამოდიოდა და ნაწილობრივ მოგვიანებით მიშენებულმა გალერეამ დაფარა. ი. გივიაშვილისა და ი. კოპლატაძის თქმით: „კარის ტიმპანის ქვაზე „ჯვრის ამაღლების“ სცენაა. კარის გვერდებში გამოისახება: მარცხნივ – ლომი, რომელსაც მსხვერპლის სახით ხარი ჰყავს კლანჭებში; ფასკუნჯი, როგორც განახლებადი სიცოცლის, აღდგომის სიმბოლო; ალექსანდრე მაკედონელის ამაღლების კომპოზიცია; მარჯვნივ ლომის ფიგურა; მამალი; გველეშაპის პირიდან იონას ამონთხევის სცენა, რითაც კიდევ ერთხელაა ხაზგასმული სულის ხსნის, აღდგომის თემა; ამ რიგის ბოლოს წმ. პეტრეს გამოსახულებაა გასაღებით ხელში. წმ. პეტრეს უკავშირდება მამლის ფიგურაც. ამავე ფასადზე სამხრეთი მკლავის აღმოსავლეთ კედელში ჩასმულია რელიეფური კომპოზიცია– ღმრთისმშობელი ყრმით. რელიეფი დაზიანებულია,

ხედი სამხრეთ-დასავლეთისკენ

მაგრამ იკვეთება, რომ ეს არის ელეუსას ტიპის ღმრთისმშობელი, რომელსაც მარცხნივ მყოფი ყრმა საზეზე ეხუტება. ღმრთისმშობლის ყრმით გამოსახულებაში, სადაც დედაშვილობის თემაა წარმოდგენილი, თავისთავად დევს საიდუმლო კოდი: დედამ იცის, რომ მისი ყრმა არის მსხვერპლი კაცობრიობის ხსნისათვის, იცის და ეალერსება შვილს. ამ ალერსში კი გაცხადებულია ამქვეყნიური ცხოვრების მსწრაფლწარმავლობა. ამდენად, ამ ხატებაში გააზრებულია ჯვარცმაც და აღდგომაც".

ხახულში შემორჩენილია ფერწერის ფრაგმენტები. მონასტრის საგანძურში იყო ქართული ოქრომჭედლობის ღირსშესანიშნავი ნაწარმოები - XII საუკუნის ღვთისმშობლის კარედი ხატი, რომელიც შემდეგში ხახულის ხატის სახელით გახდა ცნობილი (დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში). ტაძრის ირგვლივ, გალავნის შიგნით, რამდენიმე მცირე სამლოცველოა, რომელთაგან ერთი X საუკუნის დასასრულს განეკუთვნება.

ხახულში შეიქმნა მძლავრი ლიტერატურული კერა. აქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები და კალიგრაფები: იოანე ხახულელი (X-XI სს.), დავით თბილელი (XI ს.) და სხვა. ყრმობის ჟამს ხახულში მიიღო სწავლა-განათლება გიორგი მთაწმიდელმა. ხახულის მონასტრის მდიდარი ბიბლიოთეკიდან ჩვენამდე მხოლოდ უმცირესმა ნაწილმა მოაღწია. XVI საუკუნეში ხახული ქართლის კათოლიკოსის საგამგებლოში შედიოდა. XVI საუკუნეშივე ოსმალეთის მიერ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ, ხახული მოსწყდა ქართულ სახელმწიფოებრივ და კულტურულ ცხოვრებას.

ხანცთა ტაო-კლარჯეთის ერთ-ერთი უდიდესი მონასტერთაგანია. დღევანდელი არქიტექტურული კომპლექსი შედგება: მონასტრის ეკლესიის, სამრეკლოს, სატრაპეზოს, მცირე სამლოცველოების, წყაროს და გალავნისაგან.

ისტორიული წყაროების ცნობით სულიწმინდამ 784 წელს ოპიზის მონასტერში დამკვიდრებული წმინდა გრიგოლი ხანცთაში მიიყვანა. აქ მას მარტომყოფი ბერი ხუედიოსი დახვედრია. ბერმა სტუმარს მიდამოები დაათვალიერებინა და გრიგოლმა ამჟამინდელი ადგილი მონასტრის ასაშენებლად ძალიან მოიწონა. პირველად აქ ხის ეკლესია და ბერების სენაკები აიგო, მოგვიანებით აშენდა დიდი დარბაზი სატრაპეზოსათვის. IX საუკუნის დასაწყისში გრიგოლმა ადგილობრივი დიდებულის გაბრიელ დაფანჩულის მატერიალური და მორალური მხარდაჭერით ქვის ეკლესიაც აღმართა. გურგენ კურაპალატის შვილმა აშოტ კუხმა (896-918) IX საუკუნეში აქ გრანდიოზული მშენებლობა წამოიწყო, რომელიც ერისთავთერისთავმა გურგენმა (918-941) დაასრულა. მშენებლობის დაწყებამდე დიდი მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარებულა: ეკლესიისთვის ციცაბო კლდე დაუვაკებიათ, ჩავარდნილი ადგილები თაღებით მოუსწორებიათ, აღმოსავლეთ მხარეს კი საყრდენი კედელი ამოუყვანიათ. ტაძრის ასაშენებლად საჭირო ქვა და კირი ციცაბო ბილიკებით ძალიან შორი მანძილიდან მშენებლებს ზურგით მოუტანიათ. მთელი რიგი სიახლეებით ხანცთის ეკლესია კლარჯეთის არქიტექტურის ახალ ეტაპს წარმოადგენს: თლილი ქვის საფასადო პერანგით, გუმბათის ყელის თაღნარით და ტეხილი კარნიზით, ფართო თავსართებით. ხანცთა ერთადერთია კლარჯეთის შემორჩენილ ეკლესიებში, რომელიც ჩახაზული ჯვრის გეგმაზეა აგებული.

ეკლესია თავისი მოხდენილი ზომისა და შემაღლებული პროპორციების წყალობით დომინირებს არა მხოლოდ სამონასტრო კომპლექსზე არამედ მთელ მიდამოზეც. ჯვარგუმბათიანი შენობის შიდა სიგრძე 16.85, სიგანე კი 10.50 მეტრია. ეკლესიის დანახვისას განსაკუთრებულ ყურადღებას გუმბათი მიიქცევს, იგი თავისი აგებულებით ბრწყინვალედ აგვირგვინებს შენობას. ეფუძნება ოთხ მსუბუქად შეისრულ თაღს, გუმბათის ყელი თორმეტწახნაგაა. ყველაზე უჩვეულოა სახურავი, რომელსაც ნახევრად გაშლილი ქოლგის ფორმა აქვს.

ცალკეული ელემენტების ჟღერადობის გასაძლიერებლად გუმბათის ყელზე საღებავიც იყო გამოყენებული- ვ.ჯობაძე აღნიშნავს ძოწისფერი პიგმენტის კვალს ნახევარსვეტებზე გუმბათის ყელის დასავლეთ მხარის ქვედა ნაწილში და ფიქრობს, რომ ისინი მთლიანად უნდა ყოფილიყო დაფერილი.

ეკლესიის საშენი ქვა უაღრესად ხარისხიანად არის დამუშავებული, ფასადებზე გამოყენებულია თანაბარი ზომის, სუფთად გათლილი მართკუთხა ბლოკები. ისინი თანაბარ რიგებად არის დაწყობილი და ისე მჭიდროდ ერგებიან ერთმანეთს, რომ რიგებსა და ქვებს შორის კირის ხსნარი არ ჩანს. ეკლესიის მაშენებელია ხუროთმოძღვარი ამონა, რომელსაც გიორგი მერჩულე ხოტბას ასხამს და „სიბრძნით სრულიად მაშენებელს“ უწოდებს.

მონასტრის დასავლეთ ნაწილში უნდა ყოფილიყო ბერებისა და არქიმანდრიტის სენაკები, ისინი წარმოადგენს ყოველგვარ კომფორტს მოკლებულ, უკიდურესად სადა ოთახებს, ნიშების, ბუხრებისა და ღუმელების გარეშე, რაც შეესაბამება მონასტრის მკვიდრთა ასკეტურ ყოფასა და

მკაცრ დისციპლინას. მთელი ანსამბლის არქიტექტურაც ასევე სადა და ასკეტურია. რელიეფები არ არის. ერთადერთი ჯვარი, რომელიც მხოლოდ წითელი ქვითაა გამოყვანილი და არ გააჩნია არანაირი ორნამენტაცია აღმოსავლეთი ფასადის სარკმლის თავზე იყო ჩასმული. რადგან ამ მხრიდან ეკლესია ფაქტიურად მიუდგომელია და მისი დანახვა მხოლოდ შორიდანაა შესაძლებელი, პროფესორი ვახტანგ ჯობაძე თვლიდა, რომ მას არა დეკორატიული, არამედ სწორედაც რომ საკრალური ფუნქცია ეკისრებოდა და ის მოასწავებს მაცხოვრის მეორედ მოსვლას, რასაც კაცობრიობა ძრწოლით და შიშით აღმოსავლეთიდან მოელოდა. ჯობაძე აღმოსავლეთის სარკმელს, მეორედ მოსვლის ხილვის სარკმელს უწოდებს. მისი განმარტებით, წითელი ფერის შერჩევაც მეორედ მოსვლის სიმბოლური გაცხადებაა, რამეთუ წითელი ფერი ნიშნავს ქრისტეს დაღვრილ სისხლს.

რაც შეეხება ყველაზე ადრეულ ნაგებობებს, გრიგოლისდროინდელად შეიძლება მივიჩნიოთ ქვის დიდი სატრაპეზო, გალავნის ნაწილი, ეკლესიის დასადგმელად ბაქანისათვის ამოყვანილი კედლის ქვედა ნაწილი, სატრაპეზოსთან არსებული სენაკების ნაშთები, ასევე, არქაული ფორმებით გამორჩეული და დიდი მასიური ქვის ლოდებით ნაგები პატარა დარბაზული ეკლესია წყაროს თავზე. წყაროს სამლოცველოს გადახურვა და კედლების ზედა ნაწილები დღეისათვის მონგრეული აქვს. ნათლად ჩანს რომ აფსიდი ნალისებური მოხაზულობისაა. იგი სხვადასხვა ზომის უხეშად დამუშავებული ქვებითაა ნაგები და სრულიად სადაა შიგნითაც და გარედანაც.

თურქეთში მცხოვრები ჩვენებურები ამ მშენებლობის შესახებ ლეგენდებს ჰყვებიან. მათ სჯერათ, რომ სამლოცველო სამმა ძმამ ააგო, რომლებიც სამი თვე მთაში ცხოვრობდნენ, მკაცრად მარხულობდნენ (მხოლოდ ბალახით იკვებებოდნენ) და ამიტომაც ღმერთმა დიდი ლოდების დაძვრის ძალა მისცა. მონასტრის დასავლეთ მხარეს, გალავანს შიგნით ორსართულიანი სამრეკლო დგას. ქვედა იარუსს შეადგენს კუბური მოცულობა შიგ ერთი სათავსით, ზედას კი - რვათაღიანი ფანჩატური, მას ქვის ლორფინით დაბურული დაბალი კონუსური სახურავი აქვს. აქ შემორჩენილია ოთხი სამშენებლო წარწერა ერთ–ერთ მათგანში მოხსენიებულია სამრეკლოს მაშენებელი მარკოზი. მას მეცნიერები აიგივებენ კლარჯ მღვდელ-მონაზონ მარკოზთან, რომელიც 1545 წლის ახლოს ხანძთიდან სინას მთაზე, წმინდა ეკატერინეს მონასტერში გადავიდა. სინას სულთა მატიანის ერთ–ერთ მინაწერში იგი თავის თავს „ხანცთასა სამრეკლოსა აღმშენებელსა“ უწოდებს. სამრეკლო მას 1540–იან წლებში უნდა აეგო. წარწერაში ასევე მოხსენიებულია კალატოზები: "კლდელი აბესალმა, ქამირი და ყაზანი". კიდევ ერთი საინტერესო წარწერის ფილა დიმიტრი ერმაკოვმა ჩამოიტანა. აქ ერისთავთ-ერისთავი სუმბატია მოხსენიებული და ნათქვამია რომ ტაძარი "მამაი იოვანე"-ს მიჰყიდეს. ეკლესიის გაყიდვა უცნობია როგორც ქართული, ისე ქრისტიანული სამყაროს პრაქტიკაში. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ შესაძლოა რაიმე უფლების გაყიდვა იგულისხმებოდეს, მაგალითად მონასტრის ეკლესიაში დასაფლავებისა.

მონასტრის ხედი სამხრეთიდან

VIII-X საუკუნეებში ხანცთის მონასტერი იყო ქართული განათლებისა და მწიგნობრობის უმნიშვნელოვანესი ცენტრი. ხანცთაში მოღვაწე პირთაგან წმ. გრიგოლ ხანძთელის გარდა აღსანიშნავია: არსენ დიდი - ქართლის კათალიკოსი, გიორგი მერჩულე, რომელმაც სწორედ აქ, ხანცთაში დაწერა 950 წელს „ცხოვრება გრიგოლ ხანცთელისა“, საბა იშხნელი და მრავალი სხვა. ოსმალეთის იმპერის მიერ კლარჯეთის დაპყრობის შემდეგ ხანცთა დაიცალა და დავიწყებას მიეცა.

მივიწყებული მონასტერი მკვლევართათვის ცნობილი გახდა მხოლოდ 1889 წელს, ალექსანდრე ქუთათელაძემ გამოაქვეყნა მოკლე თხზულება გიორგი მერჩულეს თხზულებიდან. ავტორი ხანცთას დამახინჯებული სახელით — „ხანძოეთით“ მოიხსენიებდა. იგი ვარაუდობდა, რომ „ხანძოეთი“ კლარჯეთშია, ანჩის მახლობლად. ასე ფიქრობდა თ. ჟორდანიაც. განსხვავებული აზრი გამოთქვა ექვთიმე თაყაიშვილმა. მან „ხანძოეთი“ ევფრატის ზედაწელში, ისტორიულ დასავლეთ სომხეთში მდებარე ქალაქ ჰანძითთან გააიგივა.

ნიკო მარის მიერ გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების სრული ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ გაირკვა, რომ ხანცთა კლარჯეთში მდებარეობს, მაგრამ მისი ზუსტი ლოკალიზაცია მაინც გაძნელდა. საქმეს ართულებდა ისიც, რომ კლარჯეთის „ათორმეტ უდაბნოთაგან“ მხოლოდ ორის ტოპონიმი დაიკარგა — ხანცთა და შატბერდი; ადგილობრივმა გამაჰმადიანებულმა ქართველებმა ამ სახელწოდების მონასტრის ან დასახლების შესახებ არაფერი იცოდნენ.

ეკლესიის გუმბათის ყელი

XX საუკუნის დამდეგს ნიკო მარი კლარჯეთში მოგზაურობისას შეეცადა თავად დაედგინა მონასტრის მდებარეობა და ხანცთასთან გააიგივა კარჩხალის ხეობაში მდებარე პატარა ეკლესია — ნუკას საყდარი. ერთი პერიოდი ეს მოსაზრება საყოველთაოდ იყო მიღებული მეცნიერებაში, 1950-იან წლებში ის „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ დეტალური ანალიზის საფუძველზე უარყო პავლე ინგოროყვამ. მისივე გამოკვლევით, ხანცთა არის გვიანდელი ქვემო ფორთა (აშაღი ფორთა (Aşağı Porta), ამჟამად შეადგენს სოფელ ფირნალის (Pirnali) ერთ-ერთ უბანს), რომელიც ნიკო მარს შატბერდი ეგონა. ეს მოსაზრება დამატებითი არგუმენტებით განამტკიცა ვახტანგ ჯობაძემ. ამჟამად ამ აზრს, რომ ფორთას სახელით დარჩენილი ნამონასტრალი არის ხანცთა ემხრობა ყველა თანამედროვე მკვლევარი.



ახიზა

ახიზის ციხე თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ახლანდელ სოფელ ფერათლიდან (Ferhatli) ორიოდე კილომეტრით ჩრდილოეთით, ისტორიულ კლარჯეთში, მდინარე არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე, ულამაზეს კლდეზე მდებარეობს. "ქართლის ცხოვრების" ცნობით ვახტანგ გორგასალმა და კლარჯეთის ერისთავმა არტავაზმა კლარჯეთის ხელახლა შემოერთების შემდეგ, პროვინცია ერთად დაათვალიერეს და დიდი მშენებლობა დაგეგმეს. როგორც ჯუანშერის მონათხრობიდან ჩანს, კლარჯეთში იმ დროს ორი დიდი ციხე იყო– თუხარისისა და ახიზისა, რომელიც მეფეს დაზიანებული დახვდა. ვახტანგის ბრძანებით არტავაზმა განაახლა ახიზა. ვახტან მეფის სახელსვე უკავშირდება ახიზის ციხეში ეკლესიის მშენებლობა.

ახიზის ციხე, მოგზაური კარლ კოხი გოჯიბორეთს უწოდებს, მის მახლობლად მდებარე საეპისკოპოსო ტაძარი ამჟამად მთლიანად განადგურებულია. კლარჯეთის სიძველეთა ადრეული მკვლევარები – დ. ბაქარაძე, ა. პავლინოვი, პრ.უვაროვა და ნ.მარი მის შესახებ არაფერს წერენ. ერთადერთი მოკლე ცნობა დაგვიტოვა თბილისელმა მხარეთმცოდნემ ა.ფლორენსკიმ, რომელიც ახიზაში 1910–იან წლებში იმყოფებოდა. მისი მოწმობით, იმხანად შენობა უკვე ძლიერ დანგრეული იყო, თუმცა კედლების ნაწილი ჯერ კიდევ იდგა. ტაძარში ა.ფლორენსკიმ ღვთისმშობლის მოზაიკური გამოსახულების ფრაგმენტები ნახა. ცნობილია სამი ანტეფიქსი ახიზის ტაძრიდან. ერთზე გამოსახულია განედლებული ჯვარი, მეორეზე– ჯვარი და ირემი. ორნამენტები შუასაუკუნეებით თარიღდება. დ. ხოშტარიას აზრით ვახტანგ გორგასლის დროს აგებულ ტაძარს შემდგომ ხანებში რაიმე არსებითი აღდგენა–გადაკეთება არ განუცდია.

კავკასიძეების ციხე

თეკალე (Tekkale), ეს ის სოფელია, სადაც კავკასიძეების ციხე დგას. მთელ პროვინციაში ასეთი მიუვალი საფორტიფიკაციო ნაგებობის პოვნა გაგიქირდებათ. მასზე ასასვლელი გზა ექვთიმე თაყაიშვილის დროს უკვე ჩამორეცხილი იყო. მეცნიერი წიგნში "1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში" ამ ციხეს ოთხთა ეკლესიის ციხედ იხსენიებს და ტაბულებში დართული აქვს ფოტო წარწერით: "ციხე მდინარე ოთხთა ეკლესიის - წყლის მარცხენა ნაპირზე".

ამავე წიგნშია დამოწმებული ამ ციხის ერთადერთი წარწერა, სადაც საყდრის აღმშენებელი და ციხის მფლობელი მურვან კავკასიძეა მოხსენიებული. ამ ისტორიული ძეგლზე სხვა თითქმის არაფერია ცნობილი. აი, რას მოგვითხრობს კავკასიძეების ციხის შესახებ ექვთიმე თაყაიშვილი: "ოთხთა ეკლესიის ციხე სოფლიდან 1,5 კილომეტრის მანძილზე დგას, იმავე სახელწოდების მდინარის მარცხენა, კლდოვან ნაპირზე. კარი ჩრდილოეთიდან ჰქონია, მაგრამ იგი სავსებით ჩამორეცხილია და ამის გამო ციხეში ეხლა თითქმის არ შეისვლება. მელოს "ოკრუგის" უფროსმა, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცმა, ა. მატიასევიჩმა, რომელმაც თავაზიანად დამითმო მე ციხის ფოტო-სურათი, მიამბო, რომ მან ყოველი ღონე იხმარა, რათა ციხეში შესულიყო, მაგრამ ვერას გახდა. როდესაც შევატყობინე, რომ ჩვენი ექსპედიციის ერთ-ერთმა წევრმა ეს შეძლო და იქიდან ეკლესიის წარწერების ასლიც კი ჩამოიტანა - მეთქი, მატიასევიჩი განცვიფრდა. ციხე ამჟამად დანგრეულია. შიგ საცხოვრებელი შენობები აღარ შემონახულა, მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ზედ ფლატის თავზე დგას პატარა ეკლესია, ზედმიწევნით წესიერად თლილი ქვით ნაგები. ამ ეკლესიას კარი დასავლეთით აქვს, სარკმლები აღმოსავლეთითა და სამხრეთით. მისი სიგრძე 5,52 მეტრს, ხოლო სიგანე 3,7 მეტრს უდრის. თაღები მთელია, მაგრამ სახურავი აღარსად არის. პერანგი აღმოსავლეთსა და ჩრდილო კედლებსღა შერჩენიათ. საძირკველი ორსაფეხურიანია. შიგნით ეკლესია მთლად მოხატული ყოფილა და ფრესკები ნაწილობრივ შენახულია კიდევაც. დასავლეთ მხარეზე, მარჯვნივ გამოხატული ყოფილა ნათლისღება, მარცხნივ - ხარება. სამხრეთ კედელზე შემონახულა ორი ცალკე ფიგურა. საკურთხეველში ორი ზემოთკენ შევიწროვებული უბეა და მათში ანგელოზთა ფიგურები ხატია. ჩრდილო კედელზე, ზედა სართულში, 12 მოციქულია წარმოდგენილი, ხოლო ქვემოთ - კტიტორთა ფიგურები: მარჯვნივ კაცია, რომელსაც წითელი ქართული სამოსი აცვია, მარცხნივ - ქალი, რომელსაც თეთრი, გრძელსახელოებიანი კაბა აცვია, ხოლო შუაში - ყმაწვილი. სამივე აღმოსავლეთით, ეტყობა ქრისტესაკენ, იცქირებიან, მაგრამ თვით ქრისტეს ფიგურა არ შემორჩენილა. მხოლოდ ყმაწვილს შერჩენია მთელი სახე, დანარჩენებისა დაზიანებულია. ფიგურებს ზემოთ ხუთპწკრიანი ასომთავრული წარწერაა. "სახელითა ღმრთისაითა მამისა, ძისა და სულისა წმიდისაიათ, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისათა მე, მურვან კავკასიძემან, აღვაშენე ეკლესიაი ესე მე(ო)რედ განსრულებით, სალოცველად სულისა". წარწერაში მოხსენიებული კავკასიძეები პარხლის მფლობელნი იყვნენ და, როგორც ჩანს, ოთხთა ეკლესია და დღემდე ამაყად მდგარი ციხე-სიმაგრე მათი კუთვნილება იყო. 2007 წელს გადაცემა "ჩვენებურების" (ხელმძღვანელი გ.კალანდია) ციხეზე ალპინისტების დახმარებით ავიდა, ათამდე უცნობი წარწერა გადმოიღო და პირველად გამოაქვეყნა.

ოპიზა, უფრო სწორად მისი ნანგრევები, შორიდანვე მოჩანს. თუმცა ფერდობს კარგად უნდა დააკვირდე, რომ სიმწვანეში ჩამალული მრავალსაუკუნოვანი კედლები შენიშნო. მონასტერი ართვინის ვილაიეთში, სოფელ ბახჩილარში (Bağcilar) მდებარეობს. ოპიზა კლარჯეთის უძველესი და ყველაზე ვრცელი მონასტერი იყო. წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სამონასტრო კომპლექსმა საქართველოს ისტორიაში უდიდესი როლი შეასრულა. სავანის დაარსება ვახტანაგ გორგასლისა და ერისთავ არტავაზის სახელს უკავშირდება და პრაქტიკულად პირველი მონასტერი იყო საქართველოში. არაბთა შემოსევის შემდეგაც პირველად ის აღუდგენიათ, ამიტომ 780 წელს აქ დამკვიდრდა და ერთხანს მოწაფეებთან ერთად ცხოვრობდა ქართლიდან წამოსული გრიგოლ ხანცთელი. მონასტერში მოღვაწეობდნენ იოანე პეტრიწი, ბექა და ბეშქენ ოპიზრები. აქ გადაიწერა 913 წლის ოპიზის სახარება. ოპიზას ინახებოდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიწმინდე, ქვედა ყბა წმ.იოანე ნათლისმცემლისა. ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ "ოპიზას დაფლულ იყო ხორხი იოანე ნათლისმცემლისა" 1874 წელს გაუკაცრიელებული და მივიწყებული მონასტერი გენერალმა გიორგი ყაზბეგმა იპოვნა. სამონასტრო კომპლექსი ნგრევამდე წმ.იოანე ნათლისმცემლის სახელზე აშენებული ეკლესიისაგან, სამრეკლოს, სატრაპეზოსა და სხვა სამონასტრო ნაგებობებისაგან შედგებოდა. 1913 წელს გადაღებული ფოტოს მიხედვით ირკვევა რომ ტაძრის მრგვალი გუმბათის ყელი გარედან 12 თაღით იყო გაფორმებული მათში თითოს გამოკლებით 6 საკმაოდ განიერი სარკმლით. გუმბათის კონუსური გადახურვა ქოლგისებური იყო და 12 ნაწილისაგან შედგებოდა.

ოპიზის ყველაზე საინტერესო ფოტო 1959 წელს უცხოელმა მეცნიერმა ტიერიმ გადაიღო. მართალია, ეკლესიის მკლავების გადახურვა მას უკვე ჩანგრეული დახვდა, მაგრამ ჯერ მყარად იდგა გუმბათი. ტიერის ფოტო უნიკალურია. მას შემდეგ ოპიზა გუმბათით არავის დაუფიქსირებია. ოპიზის ტაძრის სამხრეთ ფასადზე იყო მოთავსებული სამფიგურიანი რელიეფი, რომელიც ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. რელიეფი ორი ერთნაირი ზომის ფილისაგან შედგება. შუაში ქრისტეა გამოსახული, მარჯვნივ, როგორც წარწერა გვაუწყებს, აშოტ კურაპალატი, მას ხელში ოპიზის ტაძრის მოდელი უჭირავს, მარცხნივ დავითი დგას. პროფესორმა ვახტანგ ჯობაძემ ივარაუდა, რომ ბარელიფზე გამოსახულია აშოტ IV კურაპალატი და მისი ძმა დავითი, ქართველთა მეფე. 945-954 წლებში სწორედ ამ აშოტმა განაახლა ტაძარი და ბაზილიკა გუმბათიან ეკლესიად გადააკეთა. ტაძარმა ყველაზე დიდი ნგრევა XX საუკუნის შუა წლებში განიცადა. მაშინ სოფელში გზა გაჰყავდათ და მშენებლებმა იოლი, მაგრამ საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღეს. გზა პირდაპირ ოპიზაზე გაატარეს, ამიტომ ეკლესია ააფეთქეს. ახლა სამონასტრო კომპლექსისა და ტაძრის ნაცვლად რამდენიმე კედელიღა შემორჩა. ცნობილია, რომ ოპიზა ფრესკებით ყოფილა შემკული, თუმცა დღეს მხატვრობის ნატამალი აღარ ჩანს. სამაგიეროდ გაოცებს კედლების მასშტაბები და იმ ადამიანთა მონდომება, მონასტრის ასაშენებლად უზარმაზარი ლოდები რომ მოჰქონდათ. "აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი" – ასე დასტიროდა აღლექსანდრე ქავქავაძე სევანის ტბის პირას გაშენებულ სომხურ ქალაქს. იგივე შეიძლება ოპიზაზე ითქვას.

პარხალი

აღმოსავლეთის ფასადი

შუა ნავი, ცილინდრული კამარა, ხედი დასავლეთისაკენ

სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ისტორიულ ტაოში, მდ. ქოროხის მარცხენა შენაკადის პარხლისწყლის ხეობაში, ლაზისტანის ანუ პონტოს მთების აღმოსავლეთ კალთაზე. ქალაქ იუსუფელიდან (Yusufeli) 40 კილომეტრში. ამჟამად ტაძარში მოქმედებს მეჩეთი.

პარხლის ეკლესია 973 წლის ახლო პერიოდში დავით III კურაპალატმა ააგო. პარხლის მონასტრის ეკლესია გეგმითა და პროპორციებით უახლოვდება ოთხთა ეკლესიას და, მასთან ერთად გვიანდელი ქართული ბაზილიკების მნიშვნელოვან ნიმუშს წარმოადგენს.

ეკლესია საუცხოდაა შემონახული, რადგან ხახულის მსგავსად, მასში მეჩეთია გამართული. ნაგებობა 60 მეტრის სიგრძისა და 50 მეტრის სიგანის ტერასაზე განმარტოებულადაა აღმართული. სამშენებლო მოედანი დროთა განმავლობაში დამეწყვრის გამო საგრძნობლად დაპატარავებულა, თავიდან ბევრად უფრო ვრცელი იქნებოდა. ბაზილიკის შუა ნავი მაღალი და მკვეთრად გამოყოფილია. ძეგლს ამკობს სარკმელთა სათაურები, გრეხილით მორთული ჯვრები, ცხოველთა რელიეფური გამოსახულებანი. პარხლის ეკლესიის განსაკუთრებული თავისებურებაა შუა ნავის სიგრძივი კედელი, რომელიც დანაწევრებულია დეკორატიული თაღებითა და შეწყვილებული ლილვებით, დამატებით შემკულია საღებავით შესრულებული გამოსახულებებით — მარაოსებრი სათაურებით სარკმლის ზემოთ, ჯვრებით, დისკოებითა და სხვა. შუა ნავის დიდ კედელზე შესრულებულია ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებით XVI საუკუნის წარწერა, ვ. ჯობაძე მას XIII საუკუნით ათარიღებს. წარწერაში „ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პატრიარქი იოვანე“ მოიხსენიება. აქვე ფიქსირდება ქანურ-ლაზური ტერმინები. გარეთა კედლების სხვა უამრავი წარწერა ჩამოირეცხა ან გამოხუნდა, ან ძალზე ძნელად იკითხება - მაგალითად ეკლესიის მშენებლობითა და პატრონობით დასაქმებულ მუშაკთა მოსახსენიებელი, სადაც დასახელებულია გალატოზი სიხარულა და ოქრომჭედელი მანდია.

პარხლის შესახებ საინტერესო ცნობებია შემონახული ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომებში. მისი თქმით: „პარხალსა და მის მიდამოებში უხვადაა წყაროებიცა და საერთოდ წყალიც. ამის გამო პარხლელებს ტაოს სამი მთავარი ტაძრის შესახებ თქმისათვის თავისი სოფლის სახელიც დაუმატებიათ და ამბობენ: იშხანი მხატვრობით არის განთქმული, ოშკი მშვენიერებით, ხახული მდებარეობით, ხოლო პარხალი წყლებითაო.

პარხლის მახლობელ სოფლებში შემონახულია ძველი სახელგანთქმული რუ, რომელიც სოფ. უთავოსთან იწყება, კობაკის ახლო და სოფ. ზავრიეთში მიემართება. რამდენიმე კილომეტრის მანძილზე იგი კლდეშია გაჭრილი. ამ რუს გაყვანას თამარ მეფეს მიაწერენ და მის ამ მხარეში გაკეთებულთაგან საუკეთესო საქმედ მიიჩნევენ. პარხალში გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობენ. ქართული მოხუცებსღა ესმით... ძველი წარმართული კულტის გადმონაშთს წარმოადგენს რთველის დღესასწაული: ტან-გახდილი ქაბუკები ფერხულს ცეკვავენ და ყურძნის მტევნებს იკიდებენ ტანზე... ეს გაშიშვლებული ვაჟები ჩვენებური აგუნას და კლასიკური ბახუსის თანამგზავრებს მოგვაგონებენ“. X საუკუნეში პარხლის მონასტერში გაბრიელ პატარაის მიერ შეიქმნა კრებული, რომელმაც ორი უძველესი ქართული თხზულება „შუშანიკის წამება“ და „აბო ტფილელის მარტვილობა“ შემოინახა.

ტბეთი. აღმოსავლეთის ფასადი, ხედი დასავლეთისაკენ

ინტერიერი, სამხრეთი მკლავი

სარკმლის თავსართი წნული ჯვრით

მდინარე იმერხევის მარჯვენა ნაპირზე, ახლანდელი ქალაქი შავშათიდან 15 კილომეტრში, სოფელ ტბეთის (თურქული სახელწოდება çevizli - რაც ნიშნავს „კაკლიანს“) შუაგულში სახელგანთქმული ეკლესიაა აღმართული. ჯევიზლისაკენ გზა თვალწარმტაც ხეობას მიუყვება. მთებს ხშირი ნაძვნარის სიმწვანე აფერადებს, მათ შორის კი საუცხოოდ მოჩანს ხის სახლები. გზა ფერდობიდან თანდათან მთის ტაფობზე გადადის, იმ ვრცელ ველზე, სადაც ტბეთის ტაძარია აგებული.

პირველი ტაძარი აქ X საუკუნეში ერისთავთ-ერისთავი აშოტ კუხის (+918) მიერ აიგო. მანვე დანიშნა ტბეთის პირველი ეპისკოპოსი სტეფანე მტბევარი. XI საუკუნეში ეპისკოპოსმა საბა მტბევარმა ააგო ციხესიმაგრე და დაიცვა მხარე ბიზანტიის აგრესიისაგან. მას შემდეგ სამეფო ხელისუფლებამ მტბევარ ეპისკოპოსს საერო ძალაუფლებაც — შავშეთის ერისთავობაც უბოძა. ტბეთის მონასტერი რამდენიმე სამონასტრო ნაგებობას მოიცავდა, რომელთაგან დღეისათვის მხოლოდ მთავარი ტაძრის ნანგრევებია შემორჩენილი. ტბეთის მთავარ ტაძარში გამოიყოფა მშენებლობის რამდენიმე ქრონოლოგიური ფენა. მონასტერი XVII საუკუნის II ნახევრამდე მოქმედებდა, შემდეგ ადგილობრივმა მოსახლეობამ ტაძარში ჯამე გახსნა. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ტბეთის კათედრალი კარგად იყო შენახული. მაშინ ის გიორგი ყაზბეგმა, დიმიტრი ბაქრაძემ და ნიკო მარმა შეისწავლეს. დღემდე შემორჩენილია 1888 წლის ფოტოზე, სადაც ნათლად ჩანს ეკლესიის გუმბათი და კამარების გადახურვა. მაგრამ 1961 წელს კათედრალი უცნობმა პირებმა ააფეთქეს, რის გამოც ჩამოიშალა გუმბათი და დასავლეთი ნაწილი, დაიკარგა და გაიბნა ტაძრის შემამკობელი მრავალი დეტალი.

ნგრევამ ტბეთს მომხიბვლელობა ვერ წაართვა, გრანდიოზულობითა და ორნამენტთა სინატიფით იგი დღესაც გხიბლავს. მის თაღებქვეშ მდგარს ძალაუნებურად გიორგი ყაზბეგის სიტყვები გახსენდება: "ტბეთის ეკლესიას შეუძლია დაამშვენოს თვით რომი, რომელიც განთქმულია ძველისძველი ტაძრებით. ტბეთის ეკლესია თავის შინაგანის და გარეგანის მშვენიერებით უფრო დიდსა და მაღალს გრძნობას აღძრავს კაცის გულში, ვიდრე სვეტიცხოველი მცხეთისა." ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა. ჯვრის ფორმა იკითხება არა მხოლოდ შიდა სივრცეში, არამედ გარე მასებშიც. სამხრეთი მკლავის კედლებზე ფართო ზოლები რიგებს შორის საშუალო დონის ოსტატის ხელს ამჟღავნებს. მეტიც, კედლის წყობა ასახავს ეკონომიკურ გაჭირვებას, რომელსაც განიცდიდა ქვეყანა XIII საუკუნეში.

ტაძრის შიდა სივრცე დღეს თითქმის მთლიანად განადგურებულია. არადა აქ XII საუკუნის ულამაზესი ფრესკები ყოფილა. საკურთხეველს ანგელოზთა ვედრება, თორმეტი მოციქულისა და ეკლესიის მამათა სახება ამკობდა.

მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს რომ ტბეთის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე განსაკუთრებული ნაგებობა, ე. წ. „ღმრთისმშობლის საფლავი“ არსებობდა. ეს ვარაუდი ეფუძნება ნიკო მარის მიერ ტაძრიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით ნაპოვნ ძლიერ დაზიანებულ ექვსსტრიქონიან დიდი ზომის ფილას. წარწერაში იკითხებოდა სიტყვები „კუბ(ო)Ω დედისა ღ(მრთისა)ი“. ეს წარწერა, XII-XIII საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს და ამჟამად დაკარგულად ითვლება. ნიკო მარის აზრით, წარწერა მიუთითებს ტბეთში ღვთისმშობლის განსაკუთრებული კულტის არსებობაზე.

ტბეთი

სამხრეთი ფასადი,
ყრუ თაღის აღმოსავლეთი ბაზისი

ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთისკენ

დავით ხოშტარია ყურადღებას აქცევს წარწერის შინაარსს, განსაკუთრებით კი მის ბოლო სტრიქონს. მისი თქმით, „კუბო“ შეიძლება გულისხმობდეს ღვთისმშობლის ხატის ჩასასვენებელს. არსებობს მხოლოდ ვარაუდი იმის შესახებ, რომ ტბეთში არსებობდა ნაგებობა, „ღმრთისმშობლის საფლავად“ წოდებული, რომელიც იერუსალიმში არსებული ღვთისმშობლის ნამდვილი საფლავის იმიტაციას წარმოადგენდა, ისე, როგორც სვეტიცხოველში არსებობს „უფლის საფლავი“.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, ტბეთში დასავლეთის მკლავის ჩრდილოეთის პილასტრში ჩადგმული იყო რელიეფური ფილა ქტიტორის გამოსახულებით. ეს ფილა მოგვიანებით თბილისში გადმოიტანეს და ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება. სავარაუდოა, რომ იგი თავის ადგილას არ იჯდა და თავდაპირველად ფასადზე იყო მოთავსებული. აკაკი ბაქრაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც რელიეფურ ფილაზე პირველი ტაძრის ქტიტორი, აშოტ კუხი იყო გამოსახული, შესაბამისად ფილა X საუკუნის დასაწყისით დათარიღდა. ეს მოსაზრება დღეს ფართოდაა გავრცელებული და დამკვიდრებული. თუ გამოსახულებას აშოტ კუხს მივაკუთვნებთ მაშინ მას ხელში ტაძრის მოდელი ექირა. სახე მრავალგან არის ატკეჩილი და ტანის ზოგი ნაწილიც დაზიანებულია, თუმცა შეიძლება გაირჩეს, რომ აშოტი იყო წვეროსანი და თავს ყაბალახი უბურავდა. მისი სამოსი სწორი, მაღლა აწეული საყელოთი დამზადებული იყო სქელი ქსოვილისაგან და ლომების გამოსახულებები იყო ამოქარგული. ამ ქანდაკებასთან დაკავშირებით ნ. და ჟ.-მ. ტიერიმ განსხვავებული მოსაზრება გამოთქვეს; მათი აზრით რელიეფი უფრო გვიანდელია და X საუკუნის ბოლო ხანით ან XI საუკუნის დასაწყისით უნდა დათარიღდეს. ამ მოსაზრების თანახმად ფილაზე ტაძრის ერთ-ერთი განმაახლებელია გამოსახული. ნიკო მარის ცნობით რელიეფს წარწერაც ჰქონდა გაკეთებული, თუმცა გულმოდგინედ იყო ჩამოტეხილი ჩაქუჩით.

XI საუკუნის დასაწყისში ტაძარი მართლაც აღუდგენიათ, ამ დროს არა მხოლოდ გარე კედლები შეუმოსავთ სუფთად თლილი ქვის პერანგით და შეუმკიათ არქიტექტურული პლასტიკით, არამედ ხელახლა მოუპირკეთებიათ ბურჯებიც.

ტბეთის მონასტერი შუა საუკუნეების საქართველოს მნიშვნელოვან კულტურულ, სამწერლობო კერას წარმოადგენდა აქ მოღვაწე ბერების მიერ არაერთი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები შეიქმნა. ამ მონასტერში სტეფანე მტბევარმა დაწერა ორიგინალური თხზულება "წამება წმინდისა მოწამისა გობრონისი".

დრომ ბევრი რამ შეცვალა, მაგრამ ბუნება უცვლელი დარჩა. აქაური გაშლილი ველი, მთის ქონგურები და უძირო ცა თითქოს ტბეთისთვის საგანგებოდ შეიქმნა. მრავალსაუკუნოვანი კედლები გულგრილს არავის ტოვებდა. სწორედ ამიტომ ტბეთზე ცნობილ თურქ მწერალ ფაქირ ბაიყურთს უთქვამს: "არავინ იცის, რამდენი წლისაა ეს უზარმაზარი ნაგებობა. იქნებ ათასის, იქნებ უფრო მეტისაც. ზოგი რას ამბობს, ზოგი რას. ჯევიზლი კი, როგორც სახელწოდებიდან ჩანს, კაკლიანი სოფელია. კაკლები მაისის თვეში ყალყზე დგებიან... ამდენ სიმწვანეში შორიდან ძნელად თუ შენიშნავ შენობას, მის სიდიადეს კი მხოლოდ მაშინ აღიქვამ, როდესაც მიუახლოვდები. შიგნით შეხვალ და ზემოთ აიხედავ. ძველი ეპოქის, აქ მცხოვრები ხალხის, მათი დაკარგული სარწმუნოების, მისი ცივილიზაციის ნაშთია იგი."

სათლელის (სუეტის) ციხე



სათლელის ციხე მდებარეობს თურქეთში, ართვინის ვილაიეთში, ისტორიულ მხარე შავშეთში, მდინარე შავშეთის წყლის ხეობაში, ისტორიულ სოფელ სათლეს (Savsat) მახლობლად კლდოვან ბორცვზე.

სუმბატ დავითის-ძის მიხედვით სათლელის ციხის მშენებლობა დაკავშირებულია საქართველო-ბიზანტიის დაძაბულ ურთიერთობებთან X-XI საუკუნეებში. სწორედ იმ მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ, რომელშიც იმ დროს იმყოფებოდა საქართველო, განაპირობა ტაო-კლარჯეთის რეგიონში ციხეებისა თუ სხვა საფორტიფიკაციო შენობების აგება. სუმბატ დავითის-ძის მიხედვით, ციხე 1028 წელს საბა მტბევარს აუგია, მაშინ როცა საქართველოს ბიზანტიელთა სარდალი პარკიმანოსი უტევდა. ბიზანტიელმა მხედართმთავარმა თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება იმდენად სამხედრო მოქმედებით არა, რამდენადაც აზნაურთა გადაბირებით მოახერხა. მათი მოქმედებით ქვეყანა და ბაგრატ IV (1027-1072) დიდ განსაცდელში იყო ჩავარდნილი, მაგრამ საბა მტბევარის თავგამოდებულმა მოღვაწეობამ და შავშეთის ენერგიულმა დაცვამ მთელი ეს კუთხე ბიზანტიელთა მძლავრობისაგან გადაარჩინა. მან თავისი საეპისკოპოსოს მცხოვრებლებისაგან ჯარი შექმნა და დამპყრობელთა და მოღალატე აზნაურთა სამხედრო ძალას თავისი სამშობლოს ერთგული ხალხის ძალა დაუპირისპირა: "ხოლო აღაშენა სიმაგრე საბა მტბევარ ეპისკოპოსმან, მახლობელად ტბეთის ეკლესიისა და სახელ-სდვა მას სუეტი, და შეკრიბა მაშინ მან ერი თვისი და შევიდეს მას შინა თვით საბა მტბევარ ეპისკოპოსი, და ეზრა ანჩელ ეპისკოპოსი, და შავშეთის აზნაურნი, და განძლიერდა მას შინა".

ციხე აგებულია მერისა და შავშეთის წყლების შესართავში შემაღლებულ, ხეობისაკენ წინ წამოწეულ სამკუთხა კლდოვან ბორცვზე. ციხის კედლების სისქე 2 დან 5 მეტრამდეა, გრანიტისა და ბაზალტის ქვების წყობა რეგულარულია და მათ შემაკავშირებლად კირხსნარია გამოყენებული.

ციხის გამორჩეული ნაგებობაა დასავლეთის კოშკი, რომელიც 19 მ. სიმაღლისაა და 6 სართულს მოიცავს. აქედან კონტროლდებოდა როგორც მთლიანად ხეობები (შავშეთი, მერის), ისე საკუთრივ ციხის ტერიტორია. კოშკის პირველ სართულზე არქეოლოგიური გათხრებით დადასტურდა 2 თონის არსებობა. მიწის ნაყარის გაწმენდისას აღმოჩნდა საინტერესო ჯამები, დოქები, კეცები და ა.შ. აქვე მრავლად იყო წარმოდგენილი განვითარებული შუასაუკუნეების (უმეტესად XI-XIII საუკუნეების) მოქიქული კერამიკაც.

ჯერჯერობით მხოლოდ ციხის ერთი კარიბჭე დასტურდება. იგი განთავსებულია გალავნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რომელსაც დასავლეთი კოშკი აკონტროლებდა.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში 18-19 მ სიმაღლის სწორკუთხა კოშკი დგას, რომლის პირველ სართულზე მოგვიანებით სავარაუდოდ ყაზარმა იყო მოწყობილი. ციხის ტერიტორიის ჩრდილო - აღმოსავლეთ ნაწილში ეკლესიაც მდგარა

ციხის ძირას გზა ორად იყოფა- ერთი ჩრდილოეთით მიემართება ველი ქოისაკენ, ხოლო ძირითადი გზატკეცილი გაივლის შავშეთს და არდაჰანისაკენ გადადის.

არქეოლოგიური გათხრები ციხის ეზოში

ხედი სამხრეთიდან

X საუკუნის ოთხთა ეკლესიის მონასტერი ართვინის ვილაიეთშია. სამნავიანი ბაზილიკა, სოფელ თეკალედან (Tekkale), 5 კილომეტრის მანძილზე, მდინარე ქოროხის ხეობაში მდებარეობს. ოთხთა ეკლესია პარხლის ეკლესიასთან ერთად გვიანდელი ხანის ბაზილიკების ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუშია. ამჟამინდელი ნაგებობა წერილობითი წყაროების მიხედვით, ძველთაგანვე ცნობილი მონასტრის მთავარ ტაძარს წარმოადგენდა.

ოთხთა მთის ძირას, კაკლისა და კომშის ხეებით გარშემორტყმულ სპეციალურად შექმნილ ბაქანზე დგას. ბაზილიკა X საუკუნის მეორე ნახევარში დავით დიდ კურაპალატს (გ. 1001) მოუპირკეთებია. მასვე აქ სემინარია დაუარსებია.

ოთხთა ეკლესია პროპორციებით განსხვავდება ძველი ბაზილიკებისაგან (როგორებიცაა ბოლნისი და ურბნისი). აფსიდით დასრულებული შუა ნავი მკვეთრად არის გამოყოფილი გვერდის ნავებისაგან, სახურავის კალთები ციცაბო, ხოლო ფასადები დამუშავებულია ვიწრო და მაღალი დეკორატიული თაღებით. ნაგებია აგურითა და ქვით. შემოსილია მორუხო-მოყავისფრო თლილი ქვით. ინტერიერი მოხატული იყო. ბაზილიკის გვერდით მონასტრის სატრაპეზო და დიდი სამნავიანი შენობაა (როგორც ფიქრობენ, სემინარია). აქვეა მცირე ზომის სამლოცველო, რომლის ქვეშაც სამარხია მოთავსებული.

თხზულებიდან „ცხორება და მოქალაქეობა ნეტართა მამათა ჩუენთა იოვანესი და ეფთვიმესი“ ირკვევა, რომ როცა იოანე მთაწმინდელმა საერო ცხოვრებაზე ხელი აიღო, მალულად ოთხთა ეკლესიის ლავრაში წავიდა და იქ ეკურთხა ბერად. ადგილობრივი მოსახლეობის ნაამბობით, იშხნის, ოშკისა და ხახულის შემდეგ ეს მეოთხე შესანიშნავი ეკლესიაა და სახელიც ამიტომ ეწოდა. ამავე დროს, ექვთიმე თაყაიშვილი

აღმოსავლეთის ფასადი

აღნიშნავს: „მცხოვრებნი გამაჰმადიანებული ქართველები არიან. ქართული ყველამ იცის. ადგილობრივ მუსულმანებს ტაძრის დიდი რიდი აქვთ, რატომღაც მისი ეშინიათ. ამბობენ, ვინც კი აქ დასახლდა, ყველა გადაშენდაო. ამიტომ ლავრის მახლობლად სახლებს ვერ ნახავთ. დღემდე შემორჩა ლეგენდა: „ერთხელ, ერთმა მწყემსმა ეკლესიაში ფარა შერეკა, მაგრამ ეს ფარა შემდეგ მოვარდნილმა წყალმა იმსხვერპლაო“.

სამაგიეროდ ეკლესიას არ უფრთხიან ოქროს მაძიებელნი, რომელთაც საძირკველი მთლიანად გამოუთხრიათ, კედლები და ბოძები დაუნგრევიათ. მწყემსები თივას ლავრაში ინახავენ. შენობებს შუა სარწყავი არხები გადის, სახურავიდანაც წყალი ჩამოდის, რომელიც საბოლოოდ ანადგურებს ისედაც მომსპარ ფრესკებს. არადა, ოთხთა ეკლესიის მოხატულობა ხელოვნების გამორჩეულ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. “ასეთ სახებას სხვაგან ვერსად ნახავთ”.

ვახტანგ ჯობაძის თქმით „აფსიდის დიდი სარკმლის შიდა პირზე ლურჯ ფონზე დახატულია ფიგურა, რომელსაც უპყრია ოთხთა ეკლესიის მსგავსი სამნავიანი ბაზილიკა. მას ახლავს ერთსტრიქონიანი წარწერა „სიონი“. ამდენად, ეს არის “სიონის”, ანუ ზედა იერუსალიმის ალეგორიული გამოსახულება. ყოველ დილით სხივი, „მზე აღმოსავლისა“, ეკლესიაში პირველად სწორედ „სიონის“ კომპოზიციას სწვდებოდა, ანათებდა და გულმხურვალედ მლოცველ ბერებს მხნეობას მატებდა, თანაც შთააგონებდა, რომ ოთხთა ეკლესია გაიგივებულია ბიბლიურ სიონთან, რომელიც არის „სახლი ღმრთისა“ წუერსა ზედა მთასასა... და იერუსალიმის სიონის ბაზილიკასთან, რომელიც არის „დედაი ყოველთა ეკლესიათა”.

ოთხთა ეკლესიის მოხატულობა 960-იანი წლებიდან დავით კურაპალატის ზეობის ბოლო ხანებამდე, ანუ 1001 წლამდე უნდა შექმნილიყო.

GOOD
TRAVEL
Tourism Company

გამოყენებული ლიტერატურა:

გივიაშვილი ი. კოპლატაძე ი. ტაო-კლარჯეთი.-თბ., 2004.

გუგუნავა ა. მოგზაურობა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. თბ., 1996.

თაყაიშვილი ექვ. 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია
სამხრეთ საქართველოში. - თბ., 1960.

კალანდია გ. თურქული დღიური. (გადაცემა "ჩვენებურების"
ტელექსპედიციის ანგარიშები) ნაწილი I.
ჟურნ: ლიტერატურა და ხელოვნება N 12. 2010

კალანდია გ. თურქული დღიური. (გადაცემა "ჩვენებურების"
ტელექსპედიციის ანგარიშები) ნაწილი II.
ჟურნ: ლიტერატურა და ხელოვნება N 1. 2011

კალანდია გ. თურქული დღიური. (გადაცემა "ჩვენებურების"
ტელექსპედიციის ანგარიშები) ნაწილი III-IV.
ჟურნ: "ლიტერატურა და ხელოვნება" N 2. 2011

კალანდია გ. თურქული დღიური. (გადაცემა "ჩვენებურების"
ტელექსპედიციის ანგარიშები) ნაწილი V.
ჟურნ: ლიტერატურა და ხელოვნება. N 3. 2011

კალანდია გ. იშხნის ტაძრის მშენებლობის ისტორიისთვის.
ჟურნ: "ცისკარი" N 7-8. 2011

კალანდია გ. კავკასიძეების ციხის ქართული ეკლესიის უცნობი წარწერები.
"ცისკარი" N 3 .2012

სილოგავა ვ. გამოკვლევა ოშკის ტაძრის ქტიტორთა რელიეფების და აშენების
თარიღის შესახებ ახლად აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით
//საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ისტორიის...სერია.-1977.-N1

სილოგავა ვ. ოშკში აღმოჩენილი ორი სტელა:
ანუ, როგორ იპოვნა პროფესორმა ვალერი სილოგავამ
თურქეთში ქართული უნიკალური წარწერები // ჯორჯიან თაიმსი (ინგლ. ენაზე).
-2004 (12-19 აგვ.).-გვ.9. - ინტერვიუ ვ. სილოგავასთან / ჩაიწერა ი. ვარსიმაშვილმა.

ჩხატარაშვილი გ. შავშეთის მატერიალურ-კულტურული ძეგლები,
სათლელის (სუეტის) ციხე. თბ., 2009.

ხოშტარია დ. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, თბ., 2009.

ჯობაძე ვ. ადრე შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში,
კლარჯეთსა და შავშეთში. - თბ., 2007.

ჩვენთან მუდამ სეზონია!

GOOD TRAVEL
Tourism Company

+995 2 300 700
info@goodtravel.ge
www.goodtravel.ge